



ԸՆԹԱԿԱՆ

№ 22 / 15 - 21 մարտի / 2010

- Ճանշութեղութեան համար 83. 14
- ՎՏ: Եպիսկոպոսական տառ արա սակարտացանց պահ 83. 08
- Կարտուզու քաջալութեան ապրուցան 83. 30
- „Հայութեան պատճեան“ – սեցուս մասնակիւն ըստ օմագագա 83. 41
- Քայլու պատճեան ենթագագա 83. 20
- „Տեղապահութեան պատճեան“ 83. 31
- „Տեղապահութեան պատճեան պատճեան“ 83. 37
- Յուղու պատճեան ըստ օմագագա 83. 43



ՊԱՐՄԻ-ԿԼԱՆՑՈ ԼԱՒԳԱՐՈՈՍ ՎՐԱՎԱՆՈԱՍ

ISSN 1987-7528



9 771987 752008
Զանու 2.80 լարու

83. 38



თალავი, ყვარელი, ლაგოდევი

FM 105.5

გორი, ქარელი, ხაშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია

FM 104.5

ურევი, ქოპულეთი, ჰათუები

FM 101.0

ვოთი, სანაკი, ზუგდიდი

FM 101.9



ფოთქ ნების ფოტოგრაფიული კორპუსი

ცოდვები:

- 02 რედაქტორი
04 მოკლედ
06 ვრცლად
08 ორი აზრი
ეფექტურია თუ არა
საქართველოს
ლობი ამერიკასა და
დასაცლეთში?
თემურ იაკობაშვილი V.S.
სალომე ზურაბიშვილი
10 თვალსაზრისი
ისტორია, რომელსაც ჯერ არ
ვიციობთ
მარკ მალენი
11 მიმოხილვა
საპროცესო შეთანხმება
საქართველოში
პოლიტიკა
„გენერალთა კლუბი“ V.S.
„მამულიშვილი“
ეკონომიკა
„დალუქული“ ბიზნესი

- 17 სახელმწიფო და კერძო
ბიზნესი
რეცესიის ფინანსი: სურვილის
რეალობა თუ რეალობის
სურვილი
ურნალისტური გამოძიება
ჰაკინტი ბინის ნაცვლად
20 24 ადამიანის უფლებების
დარღვევის ფაქტები
სახელმწიფო საკუთარი
მოქალაქეების წინააღმდეგ
ანგარიში
27 აშშ-ს სახელმწიფო
დეპარტამენტის 2009
წლის მოხსენება ადამიანის
უფლებების დაცვის
შესახებ
კონფლიქტები
28 კოკიონის პატიმარი
30 აფხაზეთისა და სამხრეთ
ოსეთის აღიარების პროცესი
ქართული დიპლომატია
აფრიკაში

- ადამიანის უფლებები და
სამართალი**
31 სირცხვილის დრო
33 ომის მსხვერპლთა უფლებები
ომის ორმაგი მსხვერპლი
35 უსაფრთხო შრომის უფლება
რისკიანი ხელფასი
37 უმცირესობები
სიკვდილი ჰომოსექსუალებს:
ჰომინიდები - ევროპელთა
წინაპრები
- 
- საზოგადოება**
38 კარტ-ბლანში ლატარიის კომპანიას
კომპანიას
41 იძულებით გადადგილებული
პირები

- 43 სხვისი მესიერების იმედად
რეპორტაჟი
ვიდრე ყვარელი გაქრება
საუბრები ლიბერალიზმზე
46 დალოგი და კონსენსუს
ქალაქში მოხტიალე კაცის
ჩანაწერები
48 თბილისელი სამურაი

გარეკანები:

კარტ-ბლანში ლატარიის კომპანიას



ურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი
„დია საზოგადოება - საქართველოს“
მხრიდანჭრით.

შესხვა "ციბის კონკრეტული მდგრადი მოვლენის გადასახვაზე"

፲፻፭፻

"კაცაცჭალის უთოგლის უ"

ສູງລາຍລະອຽດ ກේරුණ: ກາມນິມຜູ້ເມື່ອລົດ
ແລ້ວ ກෝຣົດ ສෑງລັບລົບ ໄດ້ຮູ້ກົດໆກົດໆ
ບໍ່ໄຫວ່ງ ສູງລັບປະຈຸບັນ ມີຄົນທຶນແງ່ງ,
ຮົມພ ນູ່ບໍດີສົມບ່ຽນ ສະຫຼຸບ ແລະ-
ມີຮັບດ້າວ, ຮົມເມື່ອລົດ ສັງລັບໃຈ
ນັບສູງ ມະດູກມາຮົງກໍາດັບລັບສ ກໍາຫຼຸກ-
ຈົກເຊີງສົບສ, ຕາງໃສຕ່າງວາດ ປົກລົງດາ,
ຕ່າງມີຈຳ ກ່ຽວຂ້ອງກົດໆ ແລ້ວທີ່ມີຮັບດ້າວ
ມົນຖືງວາງປົກສ ອັນມາດູງເປົ້າລັດ
ກ່ຽວຂ້ອງວາດລັບ ພົກສະເປົ້າກົດໆ-
ວຳສົນ ລັບສູງແກ່ຕົງຮົງ: „ສັງລັບ
ລົບກົດໆມີບໍ່ໂດຍ ບໍ່ດູກສູງເລົາດ
ກ່າວຄູ່ລົບເປົ້າ ພົກສົງ ສົລັບທຸກໆມີຮົງ
ມີໂດຍກົມມາ ສັກົກໂຄນ:“, - ການນິມ-
ຕູກສົບ ບໍ່ໄຫວ່ງ ສູງລັບປະຈຸບັນ.

גנרטס

"בְּכָפְתַּחַת"

სტატიაში ეწერა: „რუსთავი 2“-ზე პრესის მიმოხილვა 500 დოლარი ჯდება“.

შესწორება: „ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე პრესის მიმოხილვის დროს სპონსორობა ან ფასიანი სიუჟეტი 500 დოლარი ჯდება“.



სატამბა „სეზანმა“, რომლის მფლობელიც მა-
მაჩერიმა, შეგვატყობინა, – ხვალ ფინანსთა სა-
მინისტრო „ინვენტარიზაციის“ მიზნით სტამბას
დალუქაც და ალპათ უახლოეს 2 კვირის გან-
მავლობაში ვეღარ დავძექდავთ „ლიბერალს“.
იქვე მოაყოლა, – „დეგაპრინცი“ დალუქეს და
ათეულობით სხვა კომპანიაც, მაგრამ არ გაახ-
მაუროთო. გაქვს რამე სანერვიულო-მეთქი, –
რომ ვკითხე, – მიპასუხა: არა, მაგრამ მაგას რა
მნიშვნელობა აქვს, გააჩნია, რა მიზანი ექნება-
თო.

როგორც ყოველთვის, ჩჩევა არ გავითვა-
ლისძნინე. ეს არ არის პირველი შემთხვევა,
როცა ბიზნესმენები იზაფრებან, ნერვულო-
ბენ და ვერ ხვდებიან, როგორ უნდა მოიქცენენ.
მშვიდად დაელოდონ „განაჩენს“, თუ ეცადონ,
სახელმწიფოსთან „მოლაპარაკების“ გზას და-
ადგნენ, ანუ „სახელმწიფოს გაურიგდნენ“ იმის-
თვის, რომ ნაკლები ზარალი ნახონ. ნერვულო-
ბის საბაზი ყოველთვის სხვადასხვაა – მაგრამ
ერთი რამ არ იცვლება: ეშინიათ გაურკვევლო-
ბის და ბიზნესის დაკარგვის, ეშინიათ პოლიტი-
კური ინტერესების.

აქვე რამდენიმე კითხვა ჩნდება: რატომ არ ახმაურებენ ბიზნესმენები თავიანთ პრობლემებს და რატომ ამბობენ თითქმის ყოველთვის უარს საჯაროობაზე? იმიტომ ხომ არა, რომ მართლაც მაღავენ გადასახადებს, ან რაიმე სხვა დარღვევას? და მეორე: სახელმწიფო ვალდებულია, შეამონებოს კომპანიები. მაში, რა არის პრობლემა?

პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ვერასოდეს ვი-
გებთ, ბიზნესი სამართლიანად ჯარიმდება თუ

ଆରା, ସାମାରତଲୀବାନାଙ୍କ ଲୁଜ୍ଜେବା ତୁ ଆରା. ମାରତଲ୍-
ମ୍ବାଜ୍ଞୁଲ୍ଲେବାଙ୍କ ପ୍ରଥା ବ୍ୟନ୍ଦରୋବା ଏବଂ, ଶେବାବାମିଲିବାଙ୍କ,
ଦିଠନ୍ଜେମ୍ବର୍ଜେବି ସାମାରତଲୀବାନାଙ୍କ ତୁ ଉସାମାରତଲୀବାଙ୍କ
ଦାଗୁଳିର୍ବେଲ୍ଲ ଜାରିମ୍ବେଲ୍ଲସାଙ୍କ ପିର୍ଯ୍ୟତବ୍ୟେଲ୍ଲାଙ୍କ
ନେହିବାନ. ବେଳିଲୁଜ୍ଜୁଲ୍ଲେବିଲୁସ ନିନାବାଲମ୍ଭିତେ ଗାଲାହ୍-
କ୍ରେବିଲୁସ ପ୍ରେରିଲୁକ୍ତିଵାଙ୍କ ଆ ବିଦଳାବତ - ଗ୍ରୀନିବାତ,
ରନ୍ଧମ ମିମାଲୁକ ଫାକାରାବାନ୍ତିରେ, ରାଜ୍ଯ ଆଜିତ.

მეორე პრობლემა ისაა, რომ კანონი ხელისუფლებას პოლიტიკური მანევრირების საშუალებას უტოვებს. ეს კიდევ უფრო ართულებს ბიზნესის რეალურ პრობლემებში გარკვევის შანსს.

გაურკვევლია შესამონმებელი კომპანიების შეჩრევის პრინციპიც – ბიზნეს ნრეგბში ყოველ-თვის იციან, ვის ამონმებენ და ვის არა, ვის რა მიზეზით აჯარიმებენ და ვის საერთოდ ბიზნე-სის დათმობას აძილებენ.

თავისუფალი საზოგადოება ნარმულდება ენ-
ლია თავისუფალი პაზრის, ისეთი თავისუფალი
ბიზნესგარემოს გარეშე, სადაც კონკურრენცია
არსებობს. სწორედ ასეთი კონკურრენციის არარ-
სებობა იჩენს თავს ბევრ სფეროში და რამდენი-
მი მათვანებზე „ობიტარალის“ ას წომიერია წილი.

ვფიქრობ, დროა, ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემები კვლევის და სერიოზული განხილვის საგანი გახდეს. სხვაგვარად ვერც დამოკიდებელი მედია იარსებებს და ვერც პოლიტიკური ისტაბლიშმენტისაგან თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოება.

შორენა შავერდაშვილი
მთავარი რედაქტორი
shorena.shaverdashvili@liberali.ge

რედაქტორის მითავარი რედაქტორი შორინგ შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯაფარაშვილი / პროდიქტერი და საერთოსამორის ამბები სოფო ჭავა / კავკასია და კონფლიქტების სოფო ბუკა / ფრანგულისტური გამოიძება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამან ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართლი ნინო ბერიშვილი / ახალი ამბები ნათა ახალშევილი რედაქტორის ფირმა ფრანგულ-რედაქტორი ლევან ხერისხელიძე / გრანული დიზაინი თორინიკე ლორთოვიანიძე / რედაქტორი-სტილისტი ნინო გურიაშვილი / კორექტორი ნინო საიონიძე გაცოცხლის გენერატორი ბრაზილის მერეული ქთია ბაზუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლევან შებიძოძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბიძინძე / დისტრიბუტორი ზოგად შეგვალივი

გარემოებრივი: შპს „ლინგუისტი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“ „ლიტერალის“ საკუთრივი უფლებები დაცულია.

ျောက်စာလွှံ၏ ဂာမျိုးကြော်ပျော်မှု မာစာလွှံပါ၏ နားနိုင်ခုရွှေ ထူး/ခု မတော်ဝန် ဂာမျိုးကြော်ပျော်မှု၊ ရှေ့နှေ့ဖြူး တော်ဝန်ပါ၏ ဂာမျိုးမျိုး အုပ်စုလွှှေ့လှုပါ၏


ჩეკლები: სტატია „ფულორიტი“. მისამართი თბილისი, წევბიძაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალლო ფასია

www.liberali.ge

Redacted

ახალი ნიგნი



12.00
ლასი

გამოჩენილი ჩეხი მოღვაწის, წარსულში ორი
სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტის, ვაცლავ
პაველის ბოლო - 2006 წელს გამოცემული
წიგნის ქართული თარგმანი.

წიგნი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, თუმცა
ვერ თავსდება კლასიკური ავტობიოგრაფიული
ჟანრის ფარგლებში, რაც სრულებითაც არ
არის შემთხვევითი, ვ. პაველის მრავალმხრივი
შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა
ორიგინალურობითა და მრავალმხრივობით.
წიგნი ეხება ვ. პაველის მოღვაწეობას
ხავერდოვანი რევოლუციიდან (1989) მეორე ვადით
პრეზიდენტობის დასრულებამდე (2003), ანუ
სოციალისტური ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ღია
საზოგადოების მშენებლობის ხანას.
ავტორი საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა
იყოს, მისი აზრით, პრეზიდენტის ინსტიტუტი,
ურთიერთობა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის,
პარტიებისა და ფართო საზოგადოების როლი
პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს როლი
მსოფლიოში, ანუ როგორი უნდა იყოს იდეალური
დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, მსოფლიო
წესრიგი; თუ როგორ იბრძოდა ამ შეხედულებების
ცხოვრებაში გასატარებლად თავის სამშობლოში
და მოგვიანებით - საერთაშორისო პოლიტიკურ
სარბიელზე და რა დაბრკოლებებს აწყდებოდა
ამ რთულ გზაზე.



გადამდებრების
სამინისტრო

www.sulakauri.ge





■ თეარი სახლი, გაშინებული

ბენეოვანი ამნისაზი

პრეზიდენტის ინიციატივა, რეგიონული მედიისთვის ვალების ჩამონერის შესახებ, ახლა უკვე ნაციონალურ მაუწყებლებზეც გავრცელდება. მიხეილ სააკაშვილის საპარლამენტო გამოსვლის სარული ტექსტში წერია, რომ ვალები ცენტრალურ არხებსაც ჩამოქმნებათ. ამის მიზეზად ტექსტში „მძიმე საგდასახალი დავალიანებების პირობებში მციროვ“ მედიის დემოკრატიზაცია სახელდება.

არადა, საპარლამენტო გამოსვლაში სააკაშვილს ნაციონალური მაუწყებლები არ უსენება. რეგიონული მედიის ფინანსური ამინისტრის ინიციატივა მან იმის საილუსტრაციოდ მოიშველია, რომ ქვეყნაში დამოკრატიული რეფორმები გრძელდება. პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლის სარული ტექსტში მიგნებულ სიახლეს ოპონენტები უკვე გამოიწინდა. მედიაექსპერტების ნაწილი მიჩნევს, რომ ნაციონალური არხების დაფინანსების გაუმჯობერვალები პროცესის მიმართ მარტინ უსმიშროების საბჭოს მდივანი ეკა ტყეშელაშვილი აწერს ხელს, თუმცა მისი უწყება ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

საქართველოსგან განსხვავებით, აშშ-ში ეს პროცესები დაფარული არ არის და, ლობის შესახებ კანონის თანახმად, ამ გარიგების ფარგლებში დადგებული ხელშეკრულება ქვეყნის იუსტიციის დეპარტამენტშიც დარეგისტრირებულია. იანვარში დადგებული კონტრაქტით ირკვევა, რომ Podesta Group, 300 ათასი დოლარის სანაცვლოდ, ვალდებულებას იღებს, საქართველოს ხელისუფლებას ლობირება გაუწიოს აშშ-ს კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში; ასევე მისი ფუნქცია, მედიასთან დაკავშირებული სერვისები უზრუნველყოს. ამისათანავე კომპანია ორგანიზებას გაუწიოს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლთა შეხვედრებს აშშ-ს კონგრესის და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებისა. კონტრაქტის თანახმად, მხარეების

საქართველოს ახალი ცობი

შეერთებულ შტატებში ლობირება – ეს ის მომსახურებაა, რომელსაც Podesta Group (PG) და Gephhardt Government Affairs Group საქართველოს გაუწიოს. კონტრაქტების საერთო ლირებულება 736 800 აშშ დოლარია, თუმცა, ამის გარდა, ქართველ გადასახადის გადამხდელებს კომპანიების წარმომადგენელთა მოგზაურობების ხარჯებიც ექნებათ დასაფინანსებელი. ორივე ლობისტური კომპანია საკმაოდ ცნობილი და წარმატებულია. გაფორმებულ ხელშეკრულებებს საქართველოს მხრიდან უშიშროების საბჭოს მდივანი ეკა ტყეშელაშვილი აწერს ხელს, თუმცა მისი უწყება ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

საქართველოსგან განსხვავებით, აშშ-ში ეს პროცესები დაფარული არ არის და, ლობის შესახებ კანონის თანახმად, ამ გარიგების ფარგლებში დადგებული ხელშეკრულება ქვეყნის იუსტიციის დეპარტამენტშიც დარეგისტრირებულია. იანვარში დადგებული კონტრაქტით ირკვევა, რომ Podesta Group, 300 ათასი დოლარის სანაცვლოდ, ვალდებულებას იღებს, საქართველოს ხელისუფლებას ლობირება გაუწიოს აშშ-ს კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში; ასევე მისი ფუნქცია, მედიასთან დაკავშირებული სერვისები უზრუნველყოს. ამისათანავე კომპანია ორგანიზებას გაუწიოს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლთა შეხვედრებს აშშ-ს კონგრესისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებისა. კონტრაქტის თანახმად, მხარეების

კონფიდენციალობის დაცვაზეც შეთანხმებული არიან.

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ ამ მომსახურების შედეგია საქართველოს პრეზიდენტის აპრილში დაგეგმილი ვიზიტი აშშ-ში. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომავალ ვიზიტს არ უარყოფენ. თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველია, შეხვდება თუ არა სააკაშვილს ამერიკის პრეზიდენტი.

Podesta Group-თან დადგებული ხელშეკრულება 6-თვიანია, Gephhardt Government Affairs Group-თან კი – ერთწლიანი. მსგავს მომსახურებისთვის საქართველოს ხელისუფლებას ბოლო ირი წლის განმავლობაში სხვა ლობისტური კომპანიები და კონსულტანტებიც ჰყავდა დაქირავებული აშშ-ში: Glover Park Group-მა ამ მომსახურებისთვის საქართველოს მთავრობისგან 320 ათასი აშშ დოლარი მიიღო, Public Strategies-მა – 300 ათასი, Orion Strategies-მა – 800 ათასი (რამდენიმე წლის განმავლობაში). აშშ-ს გარდა, საქართველოს მთავრობას ევროპაშიც ჰყავდა დაქირავებული ასეთივე ტიპის კომპანია – Aspect Consulting (ბრიუსელი).

Podesta Group-ის კლიენტების ნუსხაში, საქართველოს რესპუბლიკის გარდა, ისეთი ცნობილი კომპანიებიც არიან, როგორებიცაა Google, BP, Boeing, Wal-Mart, Heineken. Gephhardt Government Affairs Group-სთვის კი, საქართველოს მსგავსად, თურქეთსაც მიუმართავს.

ՀԱՅԱՍՏԱՆ-ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹ

თბილისის საკურეულოს აღმენების ოფიციალური ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის სააშო პირველი უურნალისტი ინგა გრიგოლია იქნება.

პარტიის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძეს იმდე აქვს, რომ ინგა გრიგოლიას კანდიდატურა საკურებულოს თავმჯდომარედ და გია ჭანტურასას კი – თბილისის მერის პოსტზე „დედაქალაქის არც ერთ მცხოვრებს გულებრილს არ დატოვებს“.

ყოფილი ტელეკამპუნა აბ დროისათვის ლონდონში იდუმოფება და ერთ-ერთი ტელეკამპუნა მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ეს მისითვის „სერიოზული ბრძოლა“ იქნება. მას მთავარ მონინააღმდეგებ ხელისუფლების კანდიდატი მიაჩინი და არა – კონკურენტები ოპოზიციიდან. მისი შეფასებით, ხელისუფლებას საკმაოდ „მძიმე წონიანი“ კანდიდატი ეყოლება.

„ახლანდელი თვითმმართველობის არჩევნები განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალ ცხოვრებას. ჩვენ ე არჩევნები უნდა მოუკითხოვთ ხელისუფლებას“, – ამბობს გრიგოლია.

სხვა ოპტიციური პარტების წარმომადგენლებს გრიგორიას პოლიტიკიში გამოჩენა არ გაჰკვრივებიათ. „ასალი მემარჯვენების“ ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანგლიძე შემოხს, რომ შესაძლოა, ყოფილი ტელეწანამყავინი სწორებ იმ ადგინების და ხელისუფლების ინტერესების დამცველი გახდეს, რომლებმაც მას სატელევიზიო პროგრამებზე დაუტენირეს.



հՈՄԵՅՉՈՒ

53,5 მილიარდი დოლარის მფლობელი, ტელეკომუნიკაციის
მაგნატი მექსიკელი კარლოს სლომი მსოფლიოს უმდიდრეს
ადამიანად დაასახელა Forbes-მა.

25 ათასი ადამიანის დასაქმებას გეგმავს კახი კალაძე „არსე-ნალ სითის“ პროექტში.

130 წლის ანტისა ხვიჩავა მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულია.

221 მიღლიარდი დოლარი დეფიციტი აქვს აშშ-ს თებერვლის ბიუჯეტში

ԵՐԵՎԱՆԻ



„ეს ის შემთხვევაა, როდესაც არა მხოლოდ
მნიშვნელოვანი წინსვლა არ აღინიშნება, არამედ,
ჩვენი შეფასებით, მედიის თავისუფლების ხარისხი
შემცირდა კიდეც... მოქალაქეებმა არ იციან, თუ ვინ
ფლობს მედიის, ვინ იღებს საბოლოო სარედაქციო

გადაწყვეტილებებს, რამდენად დაშორებულია
სარედაქციო მხარე პიზნეს მხარისაგან. არ არის
ცხადი, თუ ვის ეხება საპოლოო გადაწყვეტილებების
მიღება და ვინ ქმნის ამა თუ იმ მედიასაშუალების
სარედაქციო პოლიტიკას".

კურსი ბასი

რადიო „თავისუფლება“, 12 მარტი

„აქამდე ბაქოშიც და ერევანშიც სიტუაციის გამწვავება არ სურდათ, თუმცა მდგომარეობა შეიცვალა. ალიევის ადმინისტრაციამ სერიოზული მიზანი დაისახა და ამ მიზნის მისაღწევად, შესაძლებელია, სამხედრო მოქმედებებზეც წავიდეს. შესაძლოა, აზერბაიჯანმა ომი იმ შემთხვევაშიც კი დაიწყოს, თუ სამხედრო მოქმედებები მისთვის არასასურებულ მიმართულებას შეიძენს“.

პაველ ფელგენგაუერი
რადიო „თავისუფლება“, 10 მარტი

„ვიმედოვნებთ, რომ სარეკლამო დროის გაყიდვით
შევძლებთ ტელეკომპანიის შენახვას. „მაესტროში“
არ არის და არც შეიძლება იყოს რომელიმე
პილიტიკური პარტიის ფინანსები. მათ კანონით
დადგენილი წესის შესაბამისად, სარეკლამო დროის
ყიდვა შეუძლიათ“.

ეროვნული კინომუზიკური მუზეუმი
12 მარტი, თბილისი

ხანძაბი ჯინის სიცომი

ქსნის ციხეში გაჩენილმა ხანძარმა ერთი პატიმრის სიცოცხლე შეიწირა.

თავშესაფრის გარეშე 1200-ზე მეტი პატიმარი დარჩა.

ნინო ბექიშვილი

6 მარტს, დაახლოებით საღამოს ექვს საათზე, ქსნის №7 საერთო და მეური რეჟიმის კოლონიაში გაჩენილ ხანძარს ერთი პატიმრის, 44 წლის ქსნიკ აგასჯანიშვილის სიცოცხლე შეეწირა.

ცეცხლი დღისით გაჩნდა, მაშინ, როცა პატიმრები ეზოში იყვნენ. „ხანძარი დამით რომ მომხდარიყო, დიდი მსხვერპლი იქნებოდა, რადგან იქ ისეთი სივიწროვეა, პატიმრები, უბრალოდ, გარეთ გამოსვლას ვერ მოასწერდნენ“, – ამბობენ სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები.

ქსნიკ აგასჯანიშვილს, რომელიც ექვსჯერ იყო ნასამართლევი, სავარაუდოდ, ხანძრის გაჩენისას საკამი ეძინა. მიუხედავად მეხანძრების მცდელობისა,

მრები, როგორც წესი, ელექტროკურებით თბებოდნენ, როთხები კი ერთმანეთისგან მუყაოს ტიხრებითა და ზერებით იყო გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ ქსნის კოლონიაში არსებული რთული ვითარება სახალხო დამცველის არაერთ საპარლამენტო მოხსენებაშია აღნირილი. ომბუდსმინი ყოველ წელს კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართავდა საქართველოს საჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს. 2009 წლის 1 ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში კი ცალკე თავი აქვს დათმობილი ქსნის კოლონიის მძიმე პირობების დახასიათებას. საუბა-

პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხანძრის შედეგად დაზარალებულია 500-მდე მსჯავრდებული.

სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები კი, რომლებიც ხანძრის შემდეგ ყოველდღიურად შედიან დანესებულებაში და სწავლობენ იქ არსებულ სიტუაციას, ამბობენ, რომ საცხოვრებლის გარეშე დაახლოებით 1200 პატიმარი დარჩა.

ხანძარმა გაანადგურა სასადილოს შენობა, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია პატიმრების საცხოვრებლად იყენებდა და კიდევ ერთი კარავი, რომელიც 300 პატიმარზე იყო გათვლილი, მაგრამ სავარაუდო, იქ გაცილებით უფრო მეტი მსჯავრდებული ცხოვრობდა. კარვის დაწვაზე არაფერია ნათევამი სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნათა იმნაძე, რომელიც, უკვე რამდენიმე წელია, საჯელალსრულების ადგილების მონიტორინგს ახორციელებს, ამბობს: „სამინისტრომ დათვალა საწოლების რაოდენობა. ალბათ, იფიქრეს, რომ საწოლები იყო ორსართულიანი და ერთ საწოლზე ერთი კაცი ინვა. სინამდვილეში, საწოლები სამ სართულად იყო განლაგებული და ყველას მაინც არ ჰყოფილია. ახლაც ბევრი მსჯავრდებულია დარჩენილი თავშესაფრის გარეშე. ქარს დროს ერთ-ერთი კარავი ვერ გადახურეს და პატიმრებს წვიმაში, ფაქტობრივად, გარეთ ეძინათ“.

ქსნის დანესებულების ადმინისტრაციამ კოლონიის ეზოში, სტადიონის ტერიტორიაზე ბრეზზენტის კარვები გაშალა და ინვენტარიც შეიტანა. პატიმრების ნაწილი კი გადარჩენილ შენობებში გადაანათლების, სადაც ხანძრამდეც აუტანელი სივიწროვე იყო. სახალხო დამცველის ოფისში აცხადებენ, რომ რამდენიმე ასეული ადამიანი ისევ უსაწილოდაა დარჩენილი და ვიდრე იქვე მშენებარე საჯელალსრულების ახალი კომპლექსი დასრულდება, მათ ისევ მორიგეობით მოუწევთ ძილი.

ქსნის კოლონიის ახალი კომპლექსის მშენებლივა დაახლოებით ერთ თვეში უნდა დამთავრდეს.



მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა – ის კვამლით იყო გაგუდული.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხაუნა კალმახელიძემ განაცხადა, რომ ხანძრის მიზეზებს გამოძიება დაადგენს, თუმცა სავარაუდოდ, ის მოკლე ჩართვას გამოიწვია.

ერთ-ერთი ყოფილი მსჯავრდებული, რომელიც ქსნის კოლონიიდან რამდენიმე თვის წინ გათავისუფლდა, „ლიბერალთან“ საუბრისას ამბობს, რომ საკნებში საშინელი სივიწროვე იყო, პატიმრებს ოჯახის წევრები კოლონიაში ზაფხულობით ლებებს უგზავნიდნენ და ისინი ღია ცის ქვეშ, გარეთ იძინებდნენ. არ ჰქონდათ პირადი ჰიგიენისა დაცვის საშუალება, იყო ანტისანიტარია. დაწესებულებაში არ არსებობდა ცენტრალური გათბობის სისტემა და ამიტომ ზამთრობით, პატი-

რია ხანძრის საშიშროებაზეც: „სადღენები არის გაშიშვლებული და ელექტროგამა-თბობლები (რაც ამ საკნებში გათბობის ერთადერთი საშუალებაა) აქვთ შეერთებული კუსტარულად“, – სავარაუდოდ, სწორედ ასეთი გამათბობელია 6 მარტს გაჩენილი ხანძრის მიზეზი.

ხანძრის გაჩენის დროს კოლონიაში იმყოფებოდა 2954 მსჯავრდებული, დანესებულება კი სულ 1600 კაცზეა გათვლილი. „გადატვირთულობას ემატება ის უმდიმესი საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებშიც პატიმრებს უნევთ ყოფნა, რაც, ერთად აღებული, შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და დამატებელი მოპყრობა“, – ნათევამია სახალხო დამცველის 2009 წლის საპარლამენტო მოხსენებაში.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს



■ ძველი თბილისის ახალი სახე, 2010

საჯარო საშვილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის
მთავარი ნაკლი მისი პოლიტიზებულობაა.

ანიჭა თვაური

ჰანრიხ ბიოლის ფონდში გამართულ საჯარო დისკუსიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა სააგენტოს ხელმძღვანელამ ნიკა ვაჩჩერიშვილმა ასე ასესა: „სახელმწიფომ ძეგლების ერთოვერად მოვლა-პატრონობა უნდა გადაზარდოს ყოველდღიურ მოვლა-პატრონობად, რაც განავითარებს ტურიზმს, კულტურულ მემკვიდრეობას ეკონომიკურ რესურსსა და უცეს და დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა 2007 წელს განსაზღვრა, როდესაც პარლამენტმა მიღლო კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. კულტურის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა თბილისისა და ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, რის შემდეგაც პირველად მოხდა კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევა, ალრიცხვა, ინვენტარიზაცია, პროგრამული უზრუნველყოფა და პასპორტიზაცია. ეს ნიშანავს იმას, რომ ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვა თითოეული ძეგლი. მხოლოდ ამის შემდეგ დაგინდნა, რომ თბილისში, შეიდას ორმოცდათოს ნაცვლად, ათას რვაასამდე კულტურული ძეგლი ყოფილა.

თუმცა, როგორც ბიოლის ფონდში შეკრებილმა არქიტექტორებმა და ურბანისტებმა აღნიშნეს, უუსუსელა ამ დაზიში 2008 წლიდან დაიწყო. ორი წლის წინ, ივნისში, ექსპერტებისა და სპეციალისტების პროტესტის მიხედვაგავად, პარლამენტმა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონი შეცვალა.

არქიტექტურის მეცნიერებათა დოკუმენტის კოკა ამირეჯიბის აზრით, ამ კანონმა გასული ნლების მიღწევები წყალში ჩაყრა. მას მიჩნა, რომ ამ ცვლილებების მთავარი ხარვეზი ის იყო, რომ დასაშვები გახდა კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობის მოცულობის შეცვლა და ადაპტაცია. „ამან ხელ-ფეხი გაუსწინა ინვესტორებს და არაეთოლისინდასიერ მეცნიერებს, რომ ძალანა სერიოზულად, არაკორექტულად ჩართულიყვნენ ძეგლის არქიტექტურაში“, – ამბობს კოკა ამირეჯიბი.

კანონმა შეცვალა მფლობელთა უფლებებიც. კულტურული ძეგლის მოვლა-პატრონობისა და გარემონტების დაფინანსება ძეგლის მობინადრეებს დაყვალათ. უარის შემთხვევაში, სახელმწიფო ჯერ დააჯარიმებს მობინადრეს, შემდეგ კი სასამართლოს წესით ჩამოართმევს სახლს. კოკა ამირეჯიბი ფიქრობს, რომ ძეგლის მოვლა-პატრონობა სახელმწიფო უნდა ითავოს და ამ ვალდებულებების განვითარებულ მოსახლეობისთვის გადაცემა უსამართლობაა.

ამავე კანონით თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფუნქცია კულტურის სამინისტროს ჩამორთვა და თბილისის მუნიციპალიტეტის გადაეცა. არქიტექტორების ნესტინ თათარაშებილი მიზნებს, რომ დაზიში პოლიტიკას მერია არ უნდა განსაზღვრავდეს, რადგან იქმნება ამ სფეროს პოლიტიზირების დიდი საფრთხე. ის ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილების

მაგალითად მირზა შაფის უბნის ნგრევას ასახელებს, სადაც კულტურული ძეგლი კომერციული მაზნებისთვის უნებართვით დაინგრა. „ბოლო ნლებში დედაქალაქში ცვლილებების შესახებ პოლიტიკოსები გვამცნობენ. პრეზიდენტმა ერთ სიუჟეტში თავადაც თქვა, რომ კორპუსების შედებვისას ფერების შერჩევაში მონანილებდა. ასეთი რამ დაუშვებელია. რესტავრაცია მეცნიერებაა, მას უნდა გეგმავდეს, ახორციელებდეს და აკონტროლებდეს ურთიერთგამიჯნული პროცესისული ორგანიზაციები და არა მერია, თუ მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები“, – ამბობს ნესტან თათარაშებილი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიზირების საფრთხეს კოკა ამირეჯიბიც ხედავს. ის ვარსულობს, რომ მერია ძეგლის დაცვასა და ინვესტიციას შორის არჩევანის გაკეთებისას უპირატესობას ფინანსებს მიანიჭებს. მისი აზრით, მერიისთან არსებული საბჭო ფორმალურ ხასიათს ატარებს. „ამ საბჭოში არ არის სათანადოდ წარმოდგენილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საბჭოს წევრები სხვადასხვა დროს თავად მენაშენებიც კი იყვნენ, ანუ მხარს საკუთარ პროექტს უქრდნენ, საბჭოში კულტურის სამინისტროს ორ წარმომადგენერული კა გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ ახდენს“, – ამბობს კოკა ამირეჯიბი.

მისი აზრით, ძეგლთა დაცვის პოლიტიკის ნაკლია, რომ მერია საზოგადოების ინ-ფორმირების და მისი ჩართულობის, გარეშე ახორციელებს პროექტებს. კოკა ამირეჯიბი აცხადებს: „არავინ იცის, რა კეთდება მირზა შაფის ქუჩაზე, რა ხდება რიყეზე, რა შენდება ჯავახსევის დაბმართვე და რა ბეჭდ ელის მილის შენობას, რომელიც განირიცხულია დანგრევისთვის. ამ პროექტებზე არც ბანერებია გამოკრული, არც საჯარო განსილებები ეწყობა სადმე, და არც ვაბგვერდზე დევს ინფორმაცია“.

მერიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი საბჭოს სხდომები, რომლებზეც ქალაქში მიმდინარე პროექტებს იზიდავენ, წესით, საჯაროა. თუმცა ადამიანები, რომელთაც ამ განხილვებზე დასწრება სურთ, პრობლემებს ანყდებიან. არასამთავრობო ორგანიზაცია, თბილისის პამერაშია „მერიას საბჭოზე დასწრების თხოვნით რამდენიმეჯერ მიმართ, მაგრამ – უშედეგობა. „ვიცით, რომ დასწრების უფლება გაქვთ, მაგრამ რადგან ცამეტი კაცი ვართ და ოთახი პატარაა, ადგილი არ გვაქვს, რომ ოთახში დაგატიოთ, გვიპასუხეს“, – გვიამბობს „თბილისის პამერის“ წევრი თამარ ამაშუკლი.

მერია რომ გახსნილი არ არის საჯარო განხილვებისთვის, ამაზე ისიც მოწოდებს, რომ ეს ლონისძიება ეწყობა შენობაში, სადაც მოხვდება მხოლოდ საშვითა შესაძლებელი.



მომხსრე

თემურ იაკობაშვილი

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც 200-მდე ქვეყანა არსებობს, ლობი საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია. მით უმეტეს, ლობი აუცილებელია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც არის საქართველო. ჩვენი ქვეყანა ახლა იწყებს ამერიკაში, უკროპასა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში საკუთარი თავის ნარდგენას. ლობის გარეშე, ეს ამოცანა ბევრად უფრო რთული იქნებოდა.

ცალსახად მინდა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს არ არის რომელიმე მთავრობის ლობი. მარტო საქართველოს ხელისუფლების კი არა, მთელი ქვეყნის ლობირება ხდება. ის, რასაც ხელისუფლება დიპლომატიურ ასპარეზზე აკეთებს, მხოლოდ მისთვის ვერ იქნება სასარგებლო.

საქართველოს საკმაოდ ეფექტური ლობი ჰყავს. რამდენად ხარისხიანია ლობი, ეს სხვადასხვანარად იზომება. ვინაიდან იგი დიპლომატიის დანამატია, და მისგან განყენებულად ვერ განვიხილავთ, ყველა დიპლომატიური წარმატება რაც საქართველოს აქვს, ლობისტების წარმატებაც არის. ამის ერთ-ერთი მაგალითია მსოფლიოში საქართველოს შესახებ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი. ლობის წარმატება შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად იმის მიხედვითაც, თუ რამდენჯერ არის ნახსენები ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო მედიაში. საქართველოს გავლენიანი მედიასაშუალებები გაცილებით უფრო მეტჯერ ასესენებენ, ვიდრე სხვა პატარა ქვეყნებს. ლობის წარმატება ვლინდება განსაკუთრებულ ყურადღებაშიც, რომელიც საქართველოს სახელისუფლებო დელეგაციებს დასავლეთში ხედებათ.

ყველა მიღწევა, რაც ბოლო წლებში ქართულ დიპლომატიას ჰქონია, შეიძლება ლობის წარმატებულ მაგალითებადაც ჩაითვალოს. ლობის დამსახურებაა რუსეთის მიერ აგორებული უზარმაზარი ანტიქართული კამპანიის შეკვება: მაგალითად შეგვიძლია მოგიყვანოთ ტალიაფინის კომისიის დასკვნა.

რუსეთში ძალიან შეშეფილებულები არიან იმით, რომ ქართველებს ძლიერი პიარი აქვთ, რადგან ქართული ლობი მათ საერთაშორისო დონეზე სერიოზულ დასკომფორტს უქმნის. ჩვენი ლობი რუსებს ხელს უშლის, გაავრცელოს სიცრუე და ანტიქართული პროაგანდა.

ლობის წარმატება არა მარტო პოლიტიკაზე, სხვადასხვა სფეროზეც შეიძლება აისახოს. მედიაზე, ეკონომიკაზე, ტურიზმზე, ქვეყნის იმიჯზე, საზღვარგარეთ გატანილ პროდუქტებზე, ცნობადობაზე და ა. შ. იმის გამო, რომ საქართველოში კარგი კლიმატია, ტურისტები არ მოგვიწყდებიან. ამ ინფორმაციას კარგად შეფუთვა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა სჭირდება. ახლა ქართული ლეინის სერიოზულ ლობირებაზე ვიწყებთ მუშაობას. ლობის დამსახურებაა, რომ სერიოზული ინვესტიციები შემოდიოდა საქართველოში; ასევე ისიც, რომ საქართველომ, დახმარების სახით, 4 ნახევარი მილიარდი დოლარი მიიღო, და ეს მაშინ, როცა ნახევრად დანგრეულ ჰაიტის ერთი მილიარდი გამოიყვეს. ეს არ არის წარმატება? ლობიზმს ამ საქმეში სერიოზული წელილი მიუძვის.

რაც შექება თანხებს, რომლებსაც საქართველო ლობისტ კომპანიებს უხდის – ასე ვიტყოდი: არც ისე მდიდრები ვართ, რომ იაფფასიანი ვიყიდოთ. თუ ვთანხმდებით, რომ ლობი




ეფექტური თა ცობი ამაჩინას

გვჭირდება, მაშინ სჯობს პროფესიონალების მომსახურებით ვისარგებლოთ. დამტერწმუნეთ, ხარისხიან ლობიში გადახდილი თანხა დაკარგული ნამდვილად არ არის.

სხვა ჩვენნაირი ქვეყნები ლობიში გაცილებით მეტ ფულს ხარჯავნე, ვიდრე ჩვენ. მაგალითად, აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენზე გაცილებით მეტს იხდიან.

რუსეთზე ალარაფერს ვამბობ, რომელიც მარტო ლობისთვის საქართველოს ბიუჯეტის ოდენობის თანხებს იხდის. სომხეთის შემთხვევაში, საქმეში სხვა ფაქტორიც ერთვება – მათ ძლიერი დიასპორა ჰყავთ, რომელიც წარმატებულად ლობირებს ქვეყნის ინტერესებს. ჩვენი დიასპორა ბევრად მცირეა და მათ იმედზე ვერ ვიქნებით. სხვა ბერკეტებისა და გზების მოძიება გვიწევს.

ლობიზმი ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სათანადოდ გამოიყენებ. ჩათვალეთ, რომ ლობი არის მანქანა, რომელიც ჩვენს ქვეყანას სწრაფად გადაადგილების საშუალებას აძლევს.



■ მიხეილ სააკაშვილი და ჯონ მკეინი

ჩენ საქართველოს ესაკირიში?



მოწინააღმდეგე

სალომე ზურაბიშვილი
„საქართველოს გზის“ ლიდერი

ეფუძნების აღმდეგ მოწინააღმდეგე და ამერიკაში „საქართველოს ლობი“, სახელმწიფოს კი არა, პირდაპირ ხელისუფლებას ლობირებს. ამაზე ბოლოს ვაშინგტონში ახალი ლობის აყვანის ამბავიც მეტყველებს: ეს ხელისუფლებას იმიტომ დასჭირდა, რომ აქამდე ვერც საერთო და ვერც ძველმა ლობისტებმა სააკაშვილისა და ობამას შეხვედრის მოწყობა ვერ მოახერხეს.

სააკაშვილი არც ობამას ინაუგურაციაზე დაპატიჟეს და საერთაშორისო შეერბებზეც ირი პრეზიდენტი ერთმანეთს მხოლოდ დერეფანში შეხვდა. ეს კი, პროტოკოლის მიხედვით, შეხვედრად არ ითვლება. პრობლემები პირადად

სააკაშვილს აქვს. მან საერთაშორისო საზოგადოების ნდობა დაკარგა. ხელისუფლება ამიტომაც იყო ძველი ლობისტებით უკმაყოფილო და ახალი ლობისტები აიყვანეს. ამ საქმისთვის მილიონები იხარჯება.

იგივე ხდება ევროპაშიც – სამი ფირმა მუშაობს ხელისუფლებისა და პირადად სააკაშვილის იმიჯზე. ევროპულმა ლობისტების ჯგუფებმა შეიტანეს წვლილი რონალდ ასმუსის აგვისტოს ომზე დაწერილი წიგნის რეკლამირებაშიც.

ლობირება არა სააკაშვილის, არამედ სახელმწიფოს პოზიციების დასაცავად ნაკლებად ხდება. მაგალითად იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ევროკავშირთან მიმართებაში ჩვენი პოზიცია, როგორ უნდა ამაღლდეს ჩვენი სტატუსი საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორ უნდა მივალნით შეთანხმებებს, და როგორ წარვადგინოთ ქვეყნის ეკონომიკა, აქცენტი არ კეთდება. ნაკლები მუშაობა მიმდინარეობს, მაგალითად, ქართული დვინოების პიპულარიზაციაზე. ძრობადლება მახვილდება ხელისუფლების წარმატებასა და მისი „დემოკრატიულობის“ დეკლარირებაზე. ჩვენი ქვეყნის რეკლამაცა, რომელიც ერთხელ „სი-ენ-ენ-ზე“ გამოჩნდა, არაეფექტური იყო. რეკლამამ, სადაც ჩანდა, თუ როგორ მიდიან საქართველოში მსოფლიოს ყველა ქვეყნის დედაქალაქებიდან ბიზნესმენები ინვესტიციების ჩასადებად, მაგალითად, საფრანგეთში, ღიმილი გამოიწვია.

საქართველოს ლობი არ მუშაობს, რადგან პროპაგანდის დონეზე ლობისტების გამოყენება ყველა შემთხვევაში არა-ეფექტურია. ეფექტური მაშინ გამოდის, როცა ლობისტები ქვეყნას რეალური საქმის წარდგენაში ეხმარებათ.

საქართველოს ლობისტებმა იმას მიაღწიეს, რომ ხელისუფლების დისკრედიტაცია ოდნავ შენელდა. თუმცა, მათ ვერ მოახერხეს საქართველოს იმიჯის აღდგენა და ვერ მიაღწიეს იმას, რომ დასავლეთში ომისა და სააკაშვილის პასუხისმგებლობის შესახებ შეხედულება შეეცვალათ.

საქართველო პატარა ქვეყნაა და პირველ რიგში მისი საელჩიობი უნდა იყვნენ ქვეყნის ლობისტები. მათი ამგვარი საქმიანობის შედეგები კი არ ჩანს.

ჩემი აზრით, ლობისტებმა „მისტრალის“ საკითხზეც ფუჭად იმუშავეს. ვთვლი, რომ მათ მომსახურებაზე ფული ტყუილად დაიხსრება. ამ საკითხში ჩვენი დიპლომატია ბევრად უფრო აქტიური უნდა ყოფილიყო. ამ თემაზე დაწერილ ლობისტურ სტატიებს კი შედეგი ვერ მოჰყვებოდა, რადგან ეს საკითხი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი იყო.

ჩვენი ლობი უფრო იმ კუთხით უნდა მუშაობდეს, რომ საქართველომ მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა მსოფლიო გამოფენაზე, ჩვენი პროდუქტები უნდა გავიტანოთ საზღვარგარეთ. დიასპორას უნდა დავეხმაროთ, რადგან ქვეყნის პირველი ლობისტი სწორედ ის არის.

ამავე დროს, ლობისტების დახარჯული თანხები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს არ შეესაბამება. როცა ქვეყნას სიღუწეზე, იმის ფულუნება არ გვაქვს, რომ გაზეთებში გამოვევნებულ სტატიებზე ბევრი ფული ვხარჯოთ. არადა, ყველა იმ სტატიაში, რომელიც საქართველოს სასარგებლოდ დაიწერა, ფულია გადახდლი; ასევე, საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსდა რუსული დელეგაციის ჩამოყანისათვის საჭირო თანხა და ენდი გარსიას მონაწილეობით გადაღებული პოლიტიკური ფილმიც.

ამხელა თანხა, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთი ადამიანის იმიჯის შესანარჩუნებლად დაიხსრება. ■

ისტორია, ხომილეას ჯებ პისნობი



დროა, საკუთარ თავს ვკითხოთ: საკუთარ იდენტობას ისტორიის კვლევით ვადგენთ, თუ ისტორიას მხოლოდ იმისთვის ვწერთ, რომ უკვე არჩეულ იდენტობას მოვარგოთ?

მარკ მალენი

სომხეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების ყველაზე საინტერესოს ნაწილი ისტორიული კომისიის შექმნა იყო. აქამდე დადებული ხელშეკრულებების უმეტესობა აზერბაიჯანის გაღიზინების მიზეზი ხდებოდა, მაგრამ ბოლო ხელშეკრულება ნამდვილად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯაა. ამ ორი ქვეყნის ხელმძღვანელი პირები თანხმდებან, რომ შექმნიან კომისიას, რომელიც მათ ისტორიას შეისწავლის. ვერასდროს წარმოვიდგნდა, რომ ეს მოხდებოდა.

დიდი ხნის მანძილზე სომხეთი და, განსაკუთრებით ამერიკის სომხური დიასპორა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებში აქტიურად ლობირებდა გასული საუკუნის დასაწყისის სომხური გენციდის აღიარებას. უდავოა, რომ ამ უზარმაზარი ტრაგედიის არცნობა დასაძრახი საქციელია, მაგრამ, სხვა მხრივ, რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნის მიერ გენციდის აღიარებას? თუ სომხების გენციდის მსოფლიოს ყველა მთავრობა და საკანონმდებლო ირგანო აღიარებს, რას მოიტანს ეს მსოფლიოსთვის ან სომხეთისთვის – მიახლოვებს მათ სიმართლესთან? ისტორია ისტორიისას და ხალხს უნდა მივანდოთ. ეს სწორედ ისაა, რაზეც სომხეთი და თურქეთი შეთანხმდნენ.

რას ნიმნავს ეს ყველაფერი საქართველოსთვის? ისტორიული ფაქტების მოხმობით საკუთარი საზღვრების ლეგიტიმურობას მხოლოდ კავკასიის ქვეყნები როდე ამართლებენ. მსგავს პრატიკას ყველა ქვეყანა მიმართავს, ყველა! მიუხედავად ამისა, საქართველო უნიკალურია იმით, რომ ქართულ ენაზე ისტორიული ფაქტების უზარმაზარი არქივი მიიპოვება, რომლის წაკითხვაც, ქართველების გარდა, ცოტას თუ შეუძლია. ამავე დროს, საქართველოს ზოგიერთ მეზობელს ისტორიული ფაქტების შემოწმების ძალიან დაბალი სტანდარტი აქვს, ისევე როგორც ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსს. საქართველოს ისტორიული კვლევის მდიდარი და ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რაც იმას ნიმნავს,

რომ სერიოზულ ისტორიკოსებს, მათ ვისაც შეუძლიათ ისტორიული წყაროების ანალიზი და მეზობელი ქვეყნების წყაროების შემოწმება, შესწევთ ძალა გარესამყაროს და ჩვენი წარმოდგენების პოზიტურად შეცვალონ.

ისტორიკოსებმა მძლალი სტანდარტები უნდა დაიცვან და გამოაშვარონ ის ფაქტები, რომლებიც აღიარებულ ვერსიებში არ თავსდება. სინამდვილეში, ისტორიული კვლევის არსი ის არის, რომ გავრცელებული შეხედულებები შეცვალოს და არა გაამყაროს. აფხაზი, ოს და მეზობელი ქვეყნების ისტორიკოსებთან ერთად მუშაობით შესაძლებელია, რომ ისტორია მითოლოგიისგან და დაუსაბუთებელი ფაქტებისგან გაიმინდოს. საქართველო, ისტორიული კვლევის მისი ხანგრძლივი გამოცდილებისა და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ამ პროცესის ინიციატორი და ლიდერი უნდა გახდეს.

მთავრობის ჩარევა ასეთ საკითხებში საქმეს მხოლოდ გააფუჭებს. ეს მეცნიერების საქმეა და თანაც საუკეთესოების, ისეთების, რომლებსაც არ ეშინიათ, რომ მოდალატებად გამოაცხადებენ. იმიტომ, რომ თუ მეცნიერები თავითან საქმეს სამართლიანად და ბატიოსნად შეასრულებენ, მთვრობას მათ დასკვნებთან შეგუება მოუწევს.

საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: ჩვენ იდენტობას ისტორიის კვლევით ვადგენთ, თუ ისტორიას მხოლოდ იმისთვის ვწერთ, რომ უკვე

არჩეულ იდენტობას მოვარგოთ? მნიშვნელობა არ აქვს, დავამახინჯეთ თუ არა ისტორია იმისთვის, რომ ის საგნების და მოვლენების ჩვენებული აღქმისთვის მოგვერგო. ჯერ კიდევ არსებობს მივწყებული და უგულებელყოფილი ისტორიული ფაქტები, რომელთა დღის შუქზე გამოტანა დაგვეხმარება, რომ გავიგოთ, ვინ ვართ და ვინ არიან ჩვენი მეზობლები. როგორც ერთხელ პარი ტრუმენმა აღნიშნა, სამყარისთვის ერთადერთი სიახლე მხოლოდ ის ისტორიული ფაქტია, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი ვიცოდით.

თარგმნა გიორგი ცხადაიაზ



■ მთავრობის ჩარევა ასეთ საკითხებში საქმეს მხოლოდ გააფუჭებს. ეს მეცნიერების საქმეა და თანაც საუკეთესოების, ისეთების, რომლებსაც არ ეშინიათ, რომ მოდალატებად გამოაცხადებენ.

საპროცესო შეთანხმება საქართველოში

დღეს საპროცესო შეთანხმება უფრო მეტ კითხვას ბადებს,
ვიდრე 5 წლის წინ, როცა იგი პირველად ამოქმედდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი 2004 წლის ოქტომბრში საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საპროცესო შეთანხმების შემოღება იყო.

საპროცესო შეთანხმება არის „შეთანხმება (პროკურორისა და დაცვის მხარეს შორის) იმაზე, რომ თუ ბრალ-დებული ბრალს აღიარებს, მას ჩადენილი დანაშაული შეუმცირდება ან მის მიმართ ნაკლებად მკაცრი სანქცია იქნება გამოყენებული“.

იურისტებს რადიკალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ზოგი მიზნევს, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების სისტემას უფრო სწრაფსა და ეფექტიანს ხდის. ოპონენტების აზრით კი, ის სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას ზღუდავს და მართლმსაჯულებას ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცევს.

ხელისუფლების წარმომადგენლები საპროცესო შეთანხმების მთავრ უპირატესობად მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაზრდას მიზნევენ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ზაზა მეშვილის თქმით, ეს არის „საშუალება, მართლმსაჯულება მოქლე დროში ისე განახორციელო, რომ ხარისხი არ დააგდო“.

ეს საპროცესო შეთანხმების სასარგებლობა ყველაზე პოპულარული არგუმენტია, რომელიც ხშირად მოჰყავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ერთ-ერთ სტატიაში წერია: „საპროცესო შეთანხმების ძირითადი მიზანი არის ადგილის გათავისუფლება იმ საქმეებისთვის, რომლებიც სასამართლო განხილვას „იმსახურებენ“. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომაც სწორედ ამ პრინციპით დაუჭირა მხარი საპროცესო შეთანხმებას. მისი განმარ-

ტებით, „თუ ყველა დამწაშავე სრულ სასამართლო პროცესს გაივლიდა, შტატებსა და ფედერალურ მთავრობებს მოსამართლებისა და სასამართლო ინფრასტრუქტურის რაოდენობის რა-მდენჯერმე გაზრდა მოუწევდათ“.

ოფიციალური სტატისტიკის ანა-ლოზიდან გამომდინარე, ეს არგუ-მენტი საქართველოს შემთხვევაშიც რელევანტურია. 2008 წელს სისხლის სამართლის საქმების რაოდენობა, 2005 წელთან შედარებით, საგრძნო-ბლად გაიზარდა: 2005 წელს – 7 358, ხოლო 2008 წელს – 17 639 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოში სულ 281 მოსამართლეა. ეს კი იმას ნიშ-ნავს, რომ ერთ მოსამართლეზე და-ახლოებით 15 393 მოქალაქე მოდის. შედარებისთვის, ესტონეთში ერთ მო-სამართლეზე – 6 425, ხოლო სლოვე-ნიაში 1 981 მოქალაქე მოდის.

მოკლე და საშუალოვადიან პერს-პექტივაში, საპროცესო შეთანხმების საჭიროება პერიტრიულ სისტემაში არსებული ვითარების ამსახველი სტა-

მების გზით სახელმწიფო დიდი რა-ოდენობის თანხას იღებს. 2009 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში სა-პროცესო შეთანხმებიდან ხაზინაში 32 760 994 ლარი შევიდა.

საპროცესო შეთანხმებებში ფულის გადახდის წილმა, ზედმეტად ლიბერა-ლურმა კანონმდებლობამ, რომელიც პროკურორებს უფლებას აქლევს, სა-პროცესო შეთანხმება მკვლელობაში ბრალდებულების მიმართაც კი გა-მოიყონება, და რაც ყველაზე პრობლე-მურია, სასამართლო სისტემის და-მოუკიდებლობის დაბალმა ხარისხმა ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების ნდობა შეამცირა.

კითხვები არსებობს საპროცესო შე-თანხმების გამჭვირვალობასთან დაკა-ვშირებითაც. ძნელად მოსაპოვებელია ინფორმაცია, თუ რა რაოდენობის თანხას იხდიან ბრალდებულები სა-პროცესო შეთანხმებების გაფორმე-ბისას. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ ბოლო მოთხოვნაზე „საერ-თაშორისო გამჭვირვალობა – საქარ-თველოს“ საქართველოს მთავრმა

საჯულების სისტემისადმი ნდობის ხარისხი ისედაც დაბალია, განსაკუ-თრებით მნიშვნელოვანია, რომ საპრო-ცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ კითხვებს პირდაპირი და ამომწურა-ვი პასუხები გაეცეს. ხელისუფლებამ საჯარო უნდა გახადოს ინფორმაცია, თუ რა საქმებზე ფორმდება საპრო-ცესო შეთანხმებები, და ინტერნეტში გამოაქვეყნოს იმ პირთა სია, რომ-ლებიც საპროცესო შეთანხმებებს აფორმებენ. გამონაკლისები შეიძლე-ბა დაიშვას იმ მსჯავრდებულების მი-მართ, რომლებიც გამოძიებას უფრო მძიმე დანაშაულზე ან დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფზე ინფორმაციას მიაწვდიან.

ფაქტია, რომ საპროცესო შეთანხ-მების სისტემა საქართველოში არც ისეთი წარმატებულია, როგორც ამას ხელისუფლება წარმოადგენს, და არც ისეთი სავალალო, როგორც ოპონენ-ტები ახასიათებენ. საპროცესო შე-თანხმების ინსტიტუტის ამოქმედება მოკლევადიან პერსპექტივიაში მაინც ციხეებში პატიმრების და სასამარ-

■ საპროცესო შეთანხმების შემოლებიდან ხუთი წლის შემდეგ დროა, ხელისუფლებამ უფრო რთული გადაწყვეტილებები მიიღოს და დღევანდელი სისტემა იმგვარად გარდაქმნას, რომ საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმება არა იძულებითი გადაწყვეტილება, არამედ არჩევანის საგანი იყოს.

ტისტიკითაც დასტურდება. 2007 წლის მონაცემებით, ციხეებში სასჯელს 18 310 ადამიანი იხდიდა, არადა ადგილე-ბის რაოდენობა 15 040-ს არ აღემა-ტებოდა.

საპროცესო შეთანხმების დადებით მხარეებზე საუბრისას ხელისუფლება, როგორც წესი, ზემოთ მოყვანილ არ-გუმენტებს ეყრდნობა. თუმცა, სხვები ნაკლებად კეთილმობილურ მოტივა-ციაზეც მიუთითებენ. არასამთავრო-ბო ორგანიზაციის – „კანონი ხალხი-სათვის“ – წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა მას „არა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, არამედ ფუ-ლის კეთების ინსტიტუტი“ უწინდა. არასამთავრობო ორგანიზაცია „42-ე მუხლის“ იურისტმა დიტო ხაჩიძემ კი აღნიშნა, რომ „რამდენს გადაიხდი“, როგორც წესი, პირველი კითხვაა, რომელიც საპროცესო შეთანხმებას-თან დაკავშირებული მოლაპარაკების დროს ისმება.

ფაქტია, რომ საპროცესო შეთანხ-

პროკურატურამ წერილობით ასეთი პასუხი გასცა: ამ ინფორმაციის გა-ცემა დაუშვებელია, რადგან ამით დაირღვევა „პასუხისგებაში მიცემუ-ლი პირების უფლება, რომ მათან დაკავშირებული ინფორმაცია, მათი თანხმობის გარეშე, საჯარო არ უნდა გახდეს“.

ამგვარი ინფორმაციის დახურვა სწორი გადაწყვეტილებაა, თუკი მონ-მეთა დაცვას ეხება საქმე. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, თუ საპროცესო შეთანხმება იმის გამო გაფორმდა, რომ პირმა გამოძიებას დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფზე ინფორმაცია მიაწოდა. თუმცა, ქართული რეალო-ბის ანალიზიდან ჩანს, რომ ასეთი შე-მთხვევები უფრო გამონაკლისა, ვი-დრე წესი.

საპროცესო შეთანხმება შედარებით „უცხო ხილია“ და ეჭვებს განვითა-რებულ იურიდიულ სისტემებშიც აღ-ძრავს. შესაბამისად, საქართველოს მსგავს ქვეყანაში, სადაც მართლმ-

თლოებში განსახილველი საქმეების რაოდენობის შემცირების მიზნით გა-მართლებული იყო.

თუმცა, მისი შემოლებიდან ხუთი წლის შემდეგ დროა, ხელისუფლებამ უფრო რთული გადაწყვეტილებე-ბი მიიღოს და დღევანდელი სისტემა იმგვარად გარდაქმნას, რომ საპრო-ცესო შეთანხმებაზე დათანხმება არა იძულებითი გადაწყვეტილება, არამედ არჩევანის საგანი იყოს.

პრეზიდენტმა სააკადემია 2005 წელს დადო პირბა, რომ საქართვე-ლოს, „ფრანგულ და ამერიკულ კინო-ებში რომ გვინახავს“, ისეთი პოლი-ციელები და პროკურორები ეყოლებოდა. საპროცესო შეთანხმებამ ჯანსაღ გარემოში რომ იმუშაოს, ეს სიტყვები რეალობად უნდა იქცეს; ასევე რეალობად უნდა იქცეს პრეზი-დენტის დაპირება იმის შესახებ, რომ სასამართლო სისტემა უფრო დამოუ-კიდებელი გახდება. [

"გენერაცია ჟღები" V.S. "ემუციმვიცი"

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა გია ყარყარაშვილმა განაცხადა, რომ პრაიმერის ჩატარების მომხრე პარტიებს შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს სატელიტი ორგანიზაციაა, რითაც თავსატეხი არამარტო პრაიმერისტებს გაუჩინა.

თაკო ფარადაშვილი

„კუკავასა და იმ ჯგუფს, რომლებიც „პრაიმერს“ ემსრობიან, მინდა ვუთხრა, რომ შეთანხმებაზე ხელმომწერი 6 პარტიიდან ერთი შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნილი სატელიტია – შსს-ს პირდაპირი სტრუქტურა... ნოლაიდელს, კობა დავითაშვილს და კახა კუკავას ვანედი ამ ინფორმაციას, თუ სურვილი ექნებათ, დამადასტურებელ საბუთსაც გადავცემ“, – განაცხადა ყარყარაშვილმა.

შემდგომ დღეებში ყარყარაშვილს აღარ დაუკონკრეტებდი, თუ რომელ პარტიას გულისხმობდა. ჩვენი ინფორმაციით, მან ეს ინფორმაცია კობა დავითაშვილს მიანოდა, თუმცა საზოგადოებისთვის საიდუმლო არც მას გაუმჯობესდი.

„კონსერვატორები“, „ხალხის პარტია“ და „სამართლიანი საქართველო“ თავად ყარყარაშვილმა გამორიცხა, ვინაიდან ამ პარტიის ლიდერებს დაპირდა, რომ მათ დაელაპარაკებოდა, „შსს-ს სატელიტი პარტიის“ თაობაზე.

დარჩ სამი პარტია: გია მაისაშვილის – „მომავლის პარტა“, ავთო დავითაიას – „ქრისტიანული საქართველო“ და გია ბერძენაძის – „მამულიშვილი“.

ძნელად სავარაუდოა, რომ ყარყარაშვილს გია მაისაშვილის პარტია ეგულისხმა. მაისაშვილმა საპროტესტო აქციებისას პრეზიდენტს შეეგინა და ამის შემდეგ ტყვიაც მიიღო შებძლები. მას საფარტის ტყვიით თავი გაუტეხს და დასისხლიანებული მაისაშვილი ყველას გაახსოვს.

წარმოუდგენელია, შინაგან საქმეთა მინისტრის სატელიტის პრეზიდენტისთვის საჯაროდ დედა ეგინებინოს. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა „ჩემი ვასალის ვასალი, ჩემი ვასალი არ არის“. აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პრეზიდენტის შემთხვევაში მხოლოდ ნოლაიდელისთვის მიერთა, და ისიც სხვების დაუსწრებლად მარტივად მოაგვარებდა ამ პრიბლებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ავთო დავითაიას საქმე კობა დავითაშვილის და კუკავას გასარჩევი არ იყო.

გვრჩება „მამულიშვილი“. პარტია შეიქმნა 2007 წელს. მასში გაერთიანდნენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის და უშიშროების სამინისტროების ვეტერანები და ყოფილი თანამშრომლები. პარტიის თავმჯდომარე – გია ბერძენაძე: იგი სხვადასხვა თანამდებობაზე 1990-96 წლებში მუშაობდა – შინაგან საქმეთა სამინისტროში, 1996-2000 წლებში – უშიშროების სამინისტროში, 2000-დან 2004 წლამდე – გვერალურ პროკურატურაში. ბერძენაძის თქმით, პარტიაში 2000 წერია, მათ შორის:

აკაშვილი იყოს და არა მისა მინისტრი მერბიშვილი. ის ხომ სააკაშვილის პირველი თანამებრძოლი და პრეზიდენტის კანდიდატი იყო, რაც მის ამბიციურობაზე მიუთოებს.

„ქრისტიანული საქართველო“ ნოლაიდელის სატელიტი პარტია, მას ასეთი რამდენიმე პარტია ჰყავს შემოკრებილი. დავითაია არაფრით გამოირჩევა ნოლაიდელის პარტიის უშუალო წევრებისგან, ფინანსებსაც და ოფისსაც მას ყოფილი პრემიერმინისტრუოფის დავითაია მეტ-ნაკლებად ცონტილი „ზევადისტას“, ნოლაიდელს ის ლოოთი ქობალიასათან ერთად „ზევადისტების“ მსარდაჭერის მოპოვებაში დაეხმარება. თუკი ყარყარაშვილი დავითაიაზე ექვინდა, უპრიანი იქნებოდა, რომ მას ამის თაობაზე უშუალოდ ნოლაიდელისთვის ეცნობებინა, ვინაიდან დავითაიას პარტიის ბედი მოთლიანად ნოლაიდელზეა დამოკიდებული. თუკი ნოლაიდელს მის მიმართ კეთილგანწყობა გაუქრიბა, დავითაია აღარავის გაახსენდება, ისევე როგორც არ ახსოვდათ „პრამერისტთა“ რიგებში გამოჩერამდე. ამასათან, ყარყარაშვილისგან კორექტული იქნებოდა ამ შემთხვევაში მხოლოდ ნოლაიდელისთვის მიერთა, და ისიც სხვების დაუსწრებლად მარტივად მოაგვარებდა ამ პრიბლებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ავთო დავითაიას საქმე კობა დავითაშვილის და კუკავას გასარჩევი არ იყო.

გვრჩება „მამულიშვილი“. პარტია შეიქმნა 2007 წელს. მასში გაერთიანდნენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის და უშიშროების სამინისტროების ვეტერანები და ყოფილი თანამშრომლები. პარტიის თავმჯდომარე – გია ბერძენაძე: იგი სხვადასხვა თანამდებობაზე 1990-96 წლებში მუშაობდა – შინაგან საქმეთა სამინისტროში, 1996-2000 წლებში – უშიშროების სამინისტროში, 2000-დან 2004 წლამდე – გვერალურ პროკურატურაში. ბერძენაძის თქმით, პარტიაში 2000 წერია, მათ შორის:


სამხედრო გენერლები – ავთო ცეიტიშვილი და ვანო გურგენიძე, უშიშროების გენერალი – ირაკლი ფულაშვილი, ასევე თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალწინოსნები: ირაკლი კელენჯერიძე, დათო ჭიაურელი, ზაბა რუსაძე.

გია ყარყარაშვილმა, დავით თევზაძემ და კობა კობალაშვილები რამდენიმე ხნის წინ თავად შექმნეს „გენერალთა კლუბი“. სამხედროთა შორის მათ ყველაზე დიდი აგტიორიტეტი აქვთ. „მამულიშვილის“ გენერლები ამ კლუბში ვერ თუ არ გაერთიანდნენ. „გენერალთა კლუბს“ ხელისუფლება საფრთხის მატარებლად მიჩნევს, ამას მომწოდეს აქციების დროს ყარყარაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობა და კობალაძის უსაფუძვლო დაპატიმრება. იქნებ ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაა ის წყალგამყოფი, რომლის გამოც, „მამულიშვილის“ გაერთიანებული გენერლები არ შევიდნენ „გენერალთა კლუბში“.

„მას არ დაუკონკრეტებია ვის გულისხმობდა, აგრძიებში. შესაძლოა, თავად გიას გარშემო იმდენ აგრძიტი იყოს შემოკრებილი, რომ აჯობებს, მან თავის გარემოცვას მიხედოს“, – აცხადებს ბერძენაძე.

ყარყარაშვილმა ასევე არ დაუკონკრეტება, თუ რისთვის სჭირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს „პრამერისტთა“ რიგებში სატელიტი პარტიის „ჩანერგვა“. „აღიანსი“ ეჭვობდა, რომ „პრამერში“ ხელისუფლება ჩანერგოდა და საკუთარი მომხრეების საშუალებით მისთვის სასურველი კანდიდატი გაიმარჯვებდა. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, შესაძლოა, „სატელიტებს“ ამ მიზნის მიღწევება გაეიღობინთ. შეს ხომ ყველა დონის არჩევნებში აქტიურად ერეგა. ან სასურველი კანდიდატის დამარცხების გამო, ხელისუფლების დაკვირვებით „სატელიტები“ შეეცდებოდნენ გამარჯვებული მერიობის კანდიდატის კომპრომიტირებას – თოთქოს მან არჩევნები გაყალბებით მოიგო. **¶**





ეკონომიკა

"ლაცური" ბიზნესი

თბილისში ინვენტარიზაციის მიზნით ასზე მეტი კომპანია დალუქეს. კომპანიები ღიად საუბარს იმ მიზეზით არიდებენ თავს, რომ სახელმწიფოსთან გარიგების შანსი დაიტოვონ.

ნინო გოგუა

მაღაზია „ბაბილინაში“ საბავშვო სა-თამაშოების საყიდლად 12 მარტს მისულებს კარი დალუქული დახვდათ, ლენტით – ინვენტარიზაცია. თბილისში დალუქულია „ბაბილინას“ ექსივე მაღაზია და ყველა საცავი. არსალაა მითითებული, როდის განახლდება ვაჭრობა.

ამ დროისთვის მხოლოდ თბილისში ინვენტარიზაციის მიზნით 130-მდე კომპანიის მუშაობა შეფერხდა. მართალია, მათი ნაწილი უკვე გახსნილია, მაგარამ ნაწილს კვლავ ლუქი ადევს. კომპანიები აცხადებენ, რომ ინვენტარიზაცია დარღვევების გარეშე მიმდინარეობს, თუმცა „ლიბერალთან“ ამ კომპანიას გაკეთებისას ბიზნესმენები ანონიმურ წყაროდ დარჩენას ამჯობინებენ.

სახელმწიფო უფლება აქვს, კერძო კომპანიების საქმიანობა წელიწადში ორჯერ შეამონმოს. ამ დროს კომპანიის მუშაობა შესაძლებელია ერთი დღიდან ერთ კვირამდე შეჩერდეს.

ფინანსთა სამინისტროს მესამედაც შეუძლია ინვენტარიზაციის მიზნით დალუქოს სანარმო, თუმცა ამ შემთხვევაში სავალდებულოა სასამართლოს ნებართვა.

„ეს არის საგადასახადო კონტროლის ჩვეულებრივი ნორმა. ინვენტარიზაცია იმ შემთხვევაში იწყება, თუ არსებობს რისკი, რომ კომპანია პროდუქციას დამალავს და ამით სახელმწიფო ბიუჯეტს თანხას მოაკლებს“, – აცხადებს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი გიორგი ცხაკაია.

ცხაკაიას განცხადებით, „ინვენტარიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა იმ კომპანიების გამოსავლენად, რომლებიც „შავ ბულალტერიას“ ანარმოებს. მაგალითად, ამ გზით აღმოვაჩინეთ, რომ ერთ-ერთ კომპანიას, რომლის დღიური ბრუნვა, დოკუმენტაციის მიხედვით, 56 ლარი იყო, სინამდვილეში 1500-2500-ლარიანი ბრუნვა ჰქონდა. არის სანარმოები, სადაც თითქოს ერთი თანამშრომელი ჰყავთ, სინამდვილეში კი იქ 15-18 ადამიანია დასაქმებული. მათი ხელაფასი დეკლარაციაში 100 ლარია, სინამდვილეში კი 500-800 ლარს უხდიდენ“.

ფინანსთა სამინისტრომ ინვენტარიზაციის ჩატარებამდე, შესაძლოა, საკონტროლო შესყიდვების გზით სცადოს დარღვევების აღმოჩენა. „ლიბერალის“ ერთ-ერთი ანონიმური რესპონდენტი ჰყვება: „9 მარტს ჩვენს

■ სათამაშოების მაღაზია „ბაბილინა“, თბილისი, 12 მარტი 2010

კომპანიაში ორი მამაკაცი მოვიდა და დიდი რაოდენობით პროდუქციის შეძენის სურგილი გამოიტევა. შესყიდვა ხელშეკრულების გაფორმების გარეშე შემოგვთავაზეს. კომპანიისგან უარის მიღების შემდეგ პირადობის არქონა მოიმიზების და ხელშეკრულების გაფორმება მყიდველების პირადი ნომრების მითითების გარეშე გვთხოვეს. შემდეგ ფულის გადახდა, ლარების ნაცვლად, დოლარით რომ სცადეს, ეჭვი გაგვიჩნდა, რომ ჩვეულებრივ მყიდველთან არ გვქონდა საქმე. როცა ამაზეც უარი მიიღეს, დაელოდნენ, მოლარე ჩეკს მისცემდათ თუ არა. ამ პროცედურამაც დარღვევის გარეშე რომ ჩაიარა, პირდაპირ გვითხრეს, – ფინანსთა სამინისტროდან ვართ, უფროსთან შევიდეთ, ინვენტარიზაციის მიზნით უნდა დაგლუქოთ".

იმისთვის, რომ კომპანიაში დარღვევების შესწორება და დამალვა ვერ მოახერხონ, სამინისტროს წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მისვლისთანავე დალუქონ ობიექტი.

ნამშრომლებმა ინვენტარიზაციის პროცესი შეგნებულად გაწედეს.

აუდიტორ ირაკლი სასანიას თქმით, ეს პრეცედენტი კომპანიებს დაუცველობის შეგრძნებას უჩინს. „ხელისუფლებამ შეიძლება მისთვის სასურველი ფრმა არასდროს შეამონმოს, ინვენტარიზაცია კი მისთვის არასასურველ კომპანიებში დაიწყოს. ამის შესაძლებლობას კანონი აძლევს და არის ალბათობა, გამოიყენოს".

2009 წლის 23 ივნისის შემდეგ სახელმწიფო ინვენტარიზაციის პროცედურა დააზუსტა. დალუქვის პერიოდის გაჭიმუაზე პასუხისმგებლობა, არა ფინანსთა სამინისტროს, არამედ თავად კომპანიას ეკისრება. სამინისტროში აცხადებენ, რომ თუ მფლობელი დროულად შეკრებს დოკუმენტაციას, კომპანიას მაქსიმუმ 2 დღის ვადაში აესწება ლუქი. თუ ბიზნესს მეტი დრო სჭირდება საბუთების წარსადგენად, შესაბამისად გახანგრძლივდება დალუქვის პერიოდიც.

სახელმწიფო არც კომპანიის ზარალზე იღებს პასუხისმგებლობას. სამინის-

რისეზე წასვლა გმირობას უდრის. ამიტომ არ ასაჩივრებენ არც ზარალს. მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა ჯარიმას, ხშირად ურჩევნიათ რაღაც თანხა გადაიხადონ, ოღონდ არ ჩაერთონ გაუთავებელ ხანგრძლივ დავებში ფინანსთა სამინისტროსთან", – აცხადებს აუდიტორი ირაკლი შავიშვილი.

„ნდობის გაზრდის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ფაქტიზად მოვეყყროთ ბიზნესის დალუქვას. 48 საათზე მეტი დროით დალუქვის გადაწყვეტილება უნდა მიღებოდეს მინისტრის დონეზე", – განაცხადა პრეზიდენტმა 2009 წლის 11 ნოემბერს იმავე შეხვედრაზე, სადაც თქვა, რომ სახელმწიფო უწყებებს საგადასახადო კოდექსის ინტერპრეტაციის საშუალება აღარ უნდა ჰქონდეთ.

ამ განცხადების შემდეგ კერძო კომპანიების ნდობა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი არ აღმდგარა. ინვენტარიზაციის წესის შესახებ სახელმწიფო დაგენილებაში კომპანიის დალუქვაში მინისტრის ჩართვა არაა გათვალისწინებული.

■ სახელმწიფოს უფლება აქვს, კერძო კომპანიების საქმიანობა წელიწადში ორჯერ შეამონმოს. ამ დროს კომპანიის მუშაობა შესაძლებელია ერთი დღიდან ერთ კვირამდე შეჩერდეს.

ასეთ დროს ბიზნესი წყვეტს მუშაობას. ვიდრე ინვენტარიზაცია არ დასრულდება და კომპანიას ლუქი არ აესწენდა, სანარმო პარალიზებულია. როგორც მსხვილი, ასევე მცირე ბიზნესისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლუქს დადების ვადას.

კანონით, „ინვენტარიზაციის ჩატარების პროცედურამ გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს გადასახადის გადამდებლის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ გააჩეროს მისი საქმიანობა", მაგრამ კონკრეტულად რა პერიოდს გულისხმობს „გონივრული ვადა", ამას კანონი არ აზრულებს.

ამ ხარვეზმა 2007 წელს სახელმწიფოს საშუალება მისცა, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ყოფილი მფლობელის ქიბარ ხალვაშის მილიონინი ბიზნესი შეეჩერებინა. ინვენტარიზაციის მიზნით, მას ქონება და სანარმოები რამდენიმე თვით დაულუქეს. ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია ამბობს, რომ, პოლიტიკური დაინტერესების გამო, „არტი ჯგუფისა" და „პრიზა" დაყადალების დროს სამინისტროს თა-

ტრო მწარმოებელს მალფუჭებადი და დაკვეთილი პროდუქტის რეალიზაციის უფლებას აძლევს, მაგრამ კომპანია დალუქვის პერიოდში მაინც კარგავს შემოსავალს და კლიენტებს.

მიღებული ზარალის ანაზღაურება კერძო მესაკუთრეს მხოლოდ სასამართლოს გზით შეუძლია. ადგოვატი პაატა სალია, რომელიც კერძო მესაკუთრების ინტერესებს იცავს, ვერ იხსენებს შემთხვევას, როცა კომპანიამ კომპენსაციის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მისი თქმით, მენარმები თავს დაუცველად გრძნობებს და სასამართლოსაც არ ენდობიან. „ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები თვითონ ეუბნებიან, – ჩეკენ არ უნდა შემოვიდეთ, თორებ თუ შემოვალთ, რაღაც დარღვევას აუცილებლად გაპიროვთ", – საკუთარ პრაქტიკიაზე დაყრდნობით აცხადებს პაატა სალია, მაგრამ თავისი კლიენტის ვინაობას არც ის ამხელს.

„ბიზნესს ყოველთვის პევრი აქვს დასაკარგი. ისეთი სასამართლოს შემთხვევაში, როგორიც დღეს გვაქვს,

ნებული. იურისტების და აუდიტორების აზრით კი, პიარ-ინიციატივებით შეუძლებელია ბიზნესმენის ნდობის მოპოვება, რადგან, პოლიტიკური მოტივით, კანონი შეიძლება თავისუფლად ამუშავდეს მის წინააღმდეგ.

კერძო კომპანიების, სადაც ინვენტარიზაციის პროცესი გრძელდება, მედიასთან ღიად საუბარს ერიდებათ. მათი სიფრთხილე ინვენტარიზაციის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. შემოწმების დროს კომპანიისთვის ცნობილი ხდება, აღმოჩნდა თუ არა დარღვევა, მაგრამ ჯარიმის ოდენობა ინვენტარიზაციის დასრულებიდან ერთ თვეში ირკვევა.


კანონი კომპანიებს სადაც თანხაზე სახელმწიფოსთან მოლაპარაკების საშუალებას აძლევს. თუ გარიგება ვერ მოხდა და კომპანიამ ჯარიმის გადახდაზე უარი განაცხადა, პიზნესი ხელახლა ილუქება უვადოდ და საწარმოს საქმიანობის გაგრძელება ეკრანზე. ამ დროისათვის ინვენტარიზაციის მიზნის გარდა, დაყადალების მოტივით კიდევ ასამდე ფირმაა დალუქული. ❶

სახელმისამართი და კერძო ბიზნესი

ჩვეულების ფინანსი: საქართვის ჩატობა თუ ჩატობის საქართვი

მარტო თბილისში ამ დროისათვის ათასზე მეტი საწარმოა დალუქული. ბიზნესმენები აცხადებენ, რომ შემოსავლების სამსახური მათი მუშაობის პარალიზებას ახდენს.

რევაზ საყევარიშვილი



ოფიციალური სტატისტიკა ამტკიცებს, რომ 2010 წლის დასაწყისში საქართველოდან ექსპორტი რეკორდულად გაიზარდა. კერძოდ, იანვარში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 72%-ით არის გაზრდილი, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამავე პერიოდში იმპორტიც სოლიდური 9%-ით შემცირდა, რაც ასევე ყველაზე დაბალი ნიშვნულაა. უფრო კონკრეტულად, იანვარში ექსპორტზე 107 მილიონი დოლარის პროდუქცია გავიდა, იმპორტით კი 278 მილიონის ნანარმი შემოვიდა.

მთავრობაში ექსპორტის ზრდა რეცესიის დასრულების კიდევ ერთ დასტურად მიიჩნიეს. ოპტიმისტურად განწყობილი ხელისუფლება უმუშევრობის დონის შემცირებასაც ელოდება.

თუმცა ოპტიმისტური მთავრობის ერთ-ერთი უწყება – ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური სხვა სტატისტიკით საქმიანობს. სხვადასხვა წყარო (მათ შორის, საგადასახადო სამსახურებიც) ადასტურებს, რომ მარტო თბილისში ამ დროისათვის ათასზე მეტი საწარმოა დალუქული. დალუქვა, დაპირებული ორდინანი მაქსიმალური ვადის მოუხდავად, ხშირ შემთხვევაში, ერთ ან ორ კვირას გრძელდება. ამ ორკვირიან დალუქვას კი, გაყიდვების შემცირების ფონზე, ბევრი ობიექტი გაკოტრებამდე მიჰყავს.

მენარმეთა განცხადებით, ობიექტების დალუქვის ძირითადი მოტივი ინგენტარიზაცია ან დავალიანებაა. დავების საბჭოში ბიზნეს-ასოციაციის წარმომადგენლები ინვენტარიზაციის მიზეზით ობიექტების დალუქვას დაუშვებლად

მიიჩნევენ. შემოსავლების სამსახური ორგანიზაციების დალუქვას ადასტურებს, თუმცა აზუსტებს, რომ უწყება მხოლოდ იმ კომპანიების შედის, სადაც თანხების ამოლების მხრივ გამსაჯუთორებული რისკები არსებობს. ამის მიუხედავად, ბიზნესის დალუქვას სულ უფრო და უფრო მეტი მენარმზე უჩივის და აცხადებს, რომ შემოსავლების სამსახური მათ პარალიზებას ახდენს.

დალუქვა-პარალიზება სულ უფრო დიდ მასტრაბებს იძენს და სულ უფრო ცნობილ სახელებს იყრებს. საგადასახადო სამსახურმა ბავშვთა სათამაშოების ორი მსხვილი ქსელი – „პაბილინა“ და „მეცხრე ცა“ დალუქა. ეს ამ ქსელების მებატრინისთვის – კომპანია „ელიტ ელექტრონიკსისთვის“ მიყენებული კიდევ ერთი საკმარიდ მძიმე დარტყმაა. ჯერჯერობით მაღაზიები კვლავაც დაკეტილია, მათი გახსნის თარიღი კი უცნობი რჩება.

ანალოგიურ მდგომარეობაშია კომპიუტერული ტექნიკის მსხვილი იმპორტორი კომპანია „ალტაც“, რომლის ყველა მაღაზია თბილისში, ქუთაისსა და

სააგნენტომ ბანკის რეიტინგი უარყოფითი მაჩვენებლით – CCC ნიშნულზე დატოვა. ამიერიდან Fitch Ratings ბანკს რეიტინგს აღარ მიანიჭებს. გავლენიანი სარეიტინგო სააგნენტოს განცხადებაში ნათევამია, რომ „ბი-თი-ეი ბანკი საქართველო“ ისევ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყაზახეთიდან მოწოდებულ დაფინანსებაზე, ბანკის აქტივების ხარისხი სუსტია, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა კი უკვე 16%-ს აჭარბებს. სტატისტიკურად, „ბი-თი-ეი ბანკი საქართველოს“ საგარეო დაფინანსების 47% სწორედ ყაზახური დამფუძნებელი ბანკისგან მოდიოდა და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. იმის გათვალისწინებით, რომ თავად ყაზახური „ბი-თი-ეი ბანკი“ ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული თავისი საგარეო ვალდებულებების მომსახურების და შვილობილი ბანკების (მათ შორის, „ბი-თი-ეი ბანკის“) დახმარების საკითხებთან დაკავშირებით, სარეიტინგო სააგნენტო წყვეტის ქართული ბანკის მომსახურებას.

თავად „ბი-თი-ეი ბანკ საქართველოში“ აცხადებენ, რომ 2009 წლის დეკემ-

ბის ნუსხაში ჩანაწერები კიდევ 4 637 ერთეულით გაიზარდა და 304 782 ჩანაწერი შეადგინა.

ინდივიდუალური მსესხებლების პარალელურად, იზრდება საქართველოს სახელმწიფოს ვალებიც. ქვეყნის საგარეო ვალი უკვე 3,5 მილიარდ ლიარს აჭარბებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვალი სხვადასხვა საქართველოს ორგანიზაციისა თუ ქვეყნის მიმართ 30%-ით არის გაზრდილი და ტენდენცია კვლავაც მზარდია. წელს საქართველოს მთავრობა დამატებით კიდევ მილიარდ 300 მილიონად დაბრინავდება სესხებას აპირებს, რის შედეგადაც ბიუჯეტს უკვე 7 მილიარდ ლარზე მეტი ექნება გასატუმრებელი.

ვალებმ განსაკუთრებით მკეთრდა იმატა აგვისტოს ომის შემდეგ. ყველაზე მეტი ქვეყანას მსოფლიო ბანკის მართებს – თითქმის 2 მილიარდი ლარი. შემდეგი სავალუტო ფონდია, რომლისგანაც მთავრობას საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად და სავალუტო რეზერვების შესაგებად უკვე 1,48 მილიარდი ლარი აქვს ნასხები. 870 მილიონ ლარს გადასცდა ევროობლიგაციების მეშვეო-

■ ქვეყანას გერმანიისა და რუსეთის სახელმწიფოების ასევე დიდი ვალი მართებს – შესაბამისად, 205 და 341 მილიონი ლარი.

ბათუმში ასევე დალუქულია, არ ფუნქციონირებს და უცნობია, როდის გაიხსნება.

დალუქულია მობილური ტელეფონების იმპორტიორი კომპანია „ტელეფონიც“, რომელიც აქტიურ რეკლამას უწევს სხვადასხვა ფერის პანელით „სამსუნგის“ ტელეფონს, თუმცა, მათი ყიდვა მსურველებისთვის ნარმოუდგენებია. „ტელეფონის“ ყველა ობიექტს შემოსავლების სამსახურის ლუქი და წარჩერა „დაკეტილია“ – უკვე რამდენიმე დღე, ამშვენებს.

გაუგებარი ხდება, რა რეცესიის დასრულებასა და ეკონომიკის ზრდაზე ლაპარაკი ბიზნესის ასეთი პარალიზების პირობებში. მით უფრო, რომ მძიმე დღეები მარტო სავაჭრო სექტორს არ უდგას.

სირთულეები წელ-წელა იკვეთება საბანკო სექტორის „შეურ როლშიც“: გავლენიანმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგნენტო Fitch Ratings-მა „ბი-თი-ეი ბანკი საქართველოს“ მომსახურება შეწყვიტა, აღარ ახდენს მისი მდგომარეობის ანაღიზს და მომავალში რეიტინგებს აღარ დაუდგენს. ბოლო შეფასებით,

ბრის ბოლოს Fitch Ratings-ს თავად აცნობეს, რომ მათი მომსახურებით სარგებლობას აღარ აპირებენ. მათი განმარტებით, გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ბანკი ვედარ ხედავდა გარე ბაზრებზე რესურსის მოზიდვის შესაძლებლობებს. შესაბამისად, აღარ არსებობდა შეფასებისა და რეიტინგის საჭიროება. თუმცა, ცხადია, რომ Fitch Ratings-ის ამ გადაწყვეტილების გამო „ბი-თი-ეი ბანკი საქართველოს“ საკურადიტო ხაზის მოზიდვაში პრობლემები შეექმნება და სირთულეები გაუჩინდება ყველა საერთაშორისო პარტნიორთან ურთიერთობაშიც. ასე რომ, ბანკს სარულიად ახლებური ნიშის მოძებნა მოუხდება, რათა თავი გადაირჩინოს. მისი მდგომარეობა დღეს სახარბიელო არ არის. 2009 წელს ბანკმა 3-მილიონიანი ზარალით დაასრულა და მის საქმიანობაში გარდატეხა არც წელს მომხდარი.

ბანკებზე უკეთეს მდგომარეობაში არც მათი კლიენტები არიან. „კრედიტინფოს“ საბანკო სიაში ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა კვლავ იზრდება. 2010 წლის პირველი თებერვლიდან 1 მარტამდე ჟერიოდში წეგატიური სესხე-

ბით უცხოეთის ბაზრებიდან ნასესხები თანხების ვალდებულებები. 500 მილიონი ლარის ევროობლიგაციები მთავრობამ 2008 წელს გამოუშვა, რომელიც უცხოურმა საინვესტიციო ფონდებმა შეიძინება. ბიუჯეტმა მათ სესხი წლიური 7%-იანი სარგებლით უნდა დაუბრუნოს. ამ პროცენტების გადახდის დრო ბიუჯეტს 2012 წლიდან დაუდგება.

ქვეყანას გერმანიისა და რუსეთის სახელმწიფების ასევე დიდი ვალი მართებს – შესაბამისად, 205 და 341 მილიონი ლარი. თუ შერშან ივლისში საგარეო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება 28% იყო, ახლა უკვე 36% გახდა. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს შეფარდება წლის ბოლომდე კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ ამის მიუხდება, ეს საგანგაშო მანც არ იქნება.

პრეზიდენტის მიერ ინიციორებულ „ეკონომიკური თავისუფლების აქტში“ მშპ-სათან საგარეო ვალის შეფარდების ზედა ზღვრად 60%-ია გათვალისწინებული. ასე რომ, ამ ნიშნულადმდე ჯერ კიდევ არსებობს რესურსი. მთავრობა მის ათვისებას არ გამორიცხავს და სესხების ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ზრდისკენ

მიმართვას აპირებს. თუმცა, როგორ შეიქმნება ქვეყნის ეკონომიკაში სტაბილური სიტუაცია, თუ ბიუჯეტი დეფიციტურია და თან მიღიარდობით ვალი აქვს გასასტუმრებელი, ეს ჯერ არავის დაუზუსტებია.

სამაგიეროდ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში წლიური ანგარიშით წარდგენის დროს დააზუსტა, რომ არსებული საფრთხეების ფონზე თავდაცვის ბიუჯეტის კიდევ უფრო შემცირება არასწორი იქნება. ოპოზიციური ბანაკის მოწოდება, შემცირდეს თავდაცვის უწყების დაფინანსება მშპ-ს 3%-მდე და დაზოგილი სახსრები ბიზნესის სტიმულირების პროექტებს მოხმარდეს, ყურადღება არავის იღებს.

ცნობისათვის: თავდაცვის წლევანდელი ბიუჯეტი 750 მილიონ ლარს შეადგენს, რაც წელს პროგნოზირებული მშპ-ს (19 მილიარდ ლარის) 4%-ია (შედარებისთვის: 2009 წელს თავდაცვის ბიუჯეტი 897 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო 2008 წელს – 1,547 მილიარდ ლარს).

კლების მიუხედავად, თავდაცვის წლევანდელი ხარჯები ისეთივე გაუმჭვირვალეა, როგორც წინა წლებში. თავდაცვის ხარჯების ერთადერთი სეგმენტი, სადაც კლება შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, პირადი შემადგენლობის შეკვეცა შეეხება: ბოლო რამდენიმე თვის განმავლობში საქართველომ შეიარაღებული ძალებიდან 600 საშუალო რანგის ოფიცერი, მათ შორის – 100 პოლკოვნიკი დაითხოვა, რაც ნანილობრივ (ცოველ შემთხვევაში, ოფიციალური ვერსიით), მათი ნაკლები პროფესიონალიზმით და ხარჯების შემცირებით იყო ნაკარნახევი.

თუმცა, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გაუმჭვირვალობის მხრივ არც სხვა დაწესებულებები ჩამოუვარდება. ეს თანაბრად ეხება როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანებს.

რეგიონულ ბიუჯეტებში რომ არანაკლები გაუმჭვირვალობაა, არც ესაა დავის საგანი.

ადგილობრივი ხელისუფლება არანაკლები ენთუზიზმით ხარჯავს ბიუჯეტს საკუთარ ჭკუზე, ვიდრე ცენტრალური. განასკუთრებით საგანგმოდ ჩანს პრემიებისა და მივლინებისათვის განკუთვნილი ხარჯების გაზრდა. მაშინ,

როდესაც ბევრ რეგიონში ბიუჯეტები მცირდება, ეს ხარჯები ლამის დაცული მუხლების რანგშია აყვანილი.

მაგალითად, 2010 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 6 მილიონი ლარით მცირდება და ის 11,7 მილიონ ლარს შეადგენს, თუმცა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების ხარჯები და მივლინებებისთვის გამოყოფილი თანხები პროექტით მაინც იზრდება. საკრებულოსა და გამგეობას წელს, შპრშანდელთან შედარებით, ხარჯები ნახევარი მილიონი ლარით ემატებათ. სხვა ვითარებაა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სადაც ხელფასებისა და ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხები თითქმის 200 ათასი ლარით შემცირდა. შემცირებულ ბიუჯეტში იზრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებაც. რაც შეეხება ზუგდიდის მთავარ პრობლემას – წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას – ამისთვის ბიუჯეტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული თანხა. პარალელურად, თითქმის მილიონი ლარით მცირდება საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებაც. თუმცა, 100 ათასი ლარით იზრდება სპორტული და კულტურული ღონისძიებების ბიუჯეტი.

პრაქტიკა, როცა მუნიციპალური ბიუჯეტები არამიზნობრივად ისარჯება, ადმინისტრაციული ხარჯი სხვა ნებისმიერ ხარჯს ჯერადად აჭარბებს, უკვე ტრადიციასა.

მუნიციპალიტეტების უმეტესობაში მიმდინარე საბიუჯეტო პროცესები გაუმჯვირვალე და ბუნდოვანია. ეს ეხება, როგორც მუნიციპალური ბიუჯეტების პროექტების შედგენის სტადიებს, ასევე მის შესრულებასაც. მაგალითად, კახეთის სანფორმაციო ცენტრის მონაცემებით, 2010 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტები ადგილობრივი ხელისუფლების შენახვის ხარჯები 30%-ს აღწევს და მკვეთრად აღმერატება სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გათვალისწინებულ ხარჯებს. ამავე დროს, თუ გასული წლების მაგალითებს გავითვალისწინებთ, წლის განმავლობაში გაკეთებული საბიუჯეტო ცვლილებები ამ თანხას აღწათ კიდევ უფრო გაზრდის. ■

ყოველკვირეული

„ლიბერალი“

1 მარტიდან



24 ნოემბრი (ეპვი თვე) - 60 ლარი

48 ნოემბრი (1 ცელი) - 120 ლარი

PDF ვარსაცნება

24 ნოემბრი ნახვარი ცელი - 35 ლარი

48 ნოემბრი (1 ცელი) - 70 ლარი



სტატია მომზადდა ევროკაშირის ფინანსური დახმარებით, პრიტანელურავებული პროფესიონალური ქსელის მეურ განხორციელებული CSE-PFM პროექტის ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია უურნლი „ლონერიანი“. სტატია არ წარმოადგენს ევროკაშირის ან პრიტანელურავებული პროფესიონალური ქსელის პაზიციას.

შურინალისტური გამოქვება

პარა ბინის ნასვლა

კეთილსინდისიერ გადამხდელებს, რომელთაც სრულად აქვთ დაფარული მშენებარე ბინის შესაძენი თანხა, არც ბინა ბარდებათ, არც პირგასამტეხლოს უხდიან და არც თანხას უბრუნებენ უკან.

ნათია ახალაშვილი



ფოტო თავის ფორმულაციის

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

გამწვანებული გარემო, სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, ულტრა-თანამედროვე არქიტექტურული კომპლექსი, დიდი სარეკრეაციო ზონა, კეთილმოწყობილი ტერიტორია, სპორტული და საბავშვო მოედნები, კაფეები, რესტორნები, დაცვის ადგილობრივი სამსახური, ტექნიკური მომსახურება – ასე მიმზიდველად ხატავდნენ დეველოპერული კომპანიები სხვადასხვა პროექტს, რომელსაც აშენებდნენ. თუმცა, არც ერთი ასეთი მასშტაბური პროექტი დღემდე დასრულებული არ არის.

სამშენებლო კომპანიები მშენებლობის შეფერხების გამო ერთსა და იმავეს იმიზეზებენ – კრიზისი, ომი, კლიენტების მიერ თანხების გადახდის შეჩერება. ეს მიზეზები სახელდება, რეალობა კი სხვანაირია.

„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ქსნის ქუჩაზე მშენებარე 18-სართულიანი მრავალფუნქციური შენობა 2008 წელს უნდა დასრულებულიყო. დღეს ეს შენობა ზუსტად იმავე დონეზე – მესამე სართულზეა გაყინული, როგორც 2008 წლის ზამთარში იყო. თუმცა, კომპანიაში ამ ობიექტზეც ამბობენ, რომ მშენებლობის პროცესშია.

„უკვე 2 წლია, იქ აღარაფერი გაკეთებულა. ჩვენ თანხის 90 პროცენტი გადახდილი გვაქვს. 2006 წლს გავაფორმეთ ხელშეკრულება და მაშინ შევიტანეთ 30 პროცენტი, დანარჩენს კი 3 თვეში ერთხელ გრაფიკით ვიხდიდით. 1 წლია, შევაჩერეთ გადახდა, იმიტომ რომ დავინახეთ, აღარაფერი კეთდება. მშენებლობა როცა გაჩერდა, მაშინ არც ომი იყო და არც – კრიზისი. ჩვენსავით არიან ჩვენი „ვირტუალური“ მეზობლებიც. ყველა მზადაა დარჩენილის გადასახდელად, თუ დავინახავთ, რომ სამშენებლო პროცესი განახლდა“, – ამბობს ქსნის ქუჩაზე მშენებარე ობიექტზე ერთერთი ბინის მომავალი მეპატრონე ივანე გოლიაძე.

გოლიაძები ბინის საყიდლად „ცენტრ პოინტი ჯგუფში“ კომპანიის იმიჯმა მიიყვანა. ახლა კი კომპანიის გენერალური დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებლის მეუღლე ვახტანგ რჩეულიშვილი პასუხისმგებლობას სხვას აკისრებს. „რამდენიმე კვირის ნინ შეგვხვდა ვახტანგ რჩეულიშვილი და გვითხრა, – „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ არანაირი ვალდებულება არ ეკისრება ამ მშენებარე ობიექტზე; მშენებლობის დამკვეთზე – გიორგი გურგენიძეზე მიგვითითა, – მას უჩივლეთ, რადგან ფული „შეჭამა“ და ჩვენც „გადაგვაგდოო“; კანონით, ჩვენს კომპანიას ვერ უჩივლებთო“, – გადმოგვცემს რჩეულიშვილის ნათევამს გოლიაძე.

„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ არც ამ და არც სხვა რომელიმე მშენებლობას დღეს ამ კომპანიის სახელი არ აწერია. ზოგიერთ ობიექტზე საერთოდ არ არის ის სავალდებულო საინფორმაციო აბრა გამოკრული, სადაც უნდა ეწეროს დამკვეთი, მშენებლობის ვადები და ნებართვის გამცემი ორგანიზაცია; ხოლო სადაც ასეთი აბრა არის, კველგან სხვადასხვა დამკვეთია მითითებული, ზოგან – შეს, ზოგან ერთი ადამიანის სახელი და გვარი.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბინები 2006-2007 წლებში გაიყიდა და მაშინ კვადრატულ მეტრი მშენებარე ბინის ფასი 400-500 აშშ დოლარი იყო, და საშუალოდ ერთი მყიდველი 70 კვ. მ. ფართობის ბინას იძენდა, გადახდილი საერთო თანხა დაახლოებით 16 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

სამშენებლო ბაზარზე 2008 წლამ-



დე ყველაზე მეტი გაყიდვები „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ჰქონდა და, შესაბამისად, დღეს ყველაზე მეტი უკმაყოფილო კლიენტიც მათ ჰყავთ.

„კომპანია „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ 1999 წელს დაარსდა. დაარსებოდან სულ მოკლე ხანში მან შეძლო უძრავი ქონების სააგენტოდან ერთ-ერთ უმსხვილეს დეველოპერულ კომპანიად ჩცეულიყო. დღეს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ აქტივშია 20 განხორციელებული და 50 მიმდინარე პროექტი, 5000 დასაქმებული ადამიანი, 8000-მდე მომზმარებელი. კომპანიის განვითარების დინამიკას სამი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს – მაღალი ხარისხი, პროფესიონალიზმი და სამედიობა“, – ასეა კომპანია წარმოდგენილი საკუთარ ვებგვერდზე.

ის, ვინც დღეს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ კლიენტია, თავის დროზე ამ კომპანიასთან მათი იმიჯისა და რეკლამის ზეგავლენით მოხვდა. კლიენტები ხელშეკრულებებს მათთან, მათ ოფისებში აფორმებდნენ, თუმცა თავად კომპანია „ცენტრ

ბული, რომელიც „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ბრენდის ქვეშ არსებული ერთ-ერთი კომპანიაა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ მათი ბრენდის ქვეშ მშენებარე 23 ობიექტიდან ამ დროისათვის 16-ში მშენებლობა გრძელდება და მხოლოდ 7 ობიექტი დაკონსერვდა. თუმცა, რეალობა სხვაგვარია – ამ 16 ობიექტზეც ზოგან საერთოდ შეჩერებულია სამშენებლო პროცესი, ზოგან კი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

„ცენტრ პოინტი ჯგუფში“ მშენებლობის პროცესის შეფერხების მთავარ მიზანად კლიენტებს ასახელებენ. „მშენებლობის დაგვიანება არც კრიზისის და არც ომის ბრალი არ არის. კრიზისი ამ ეტაპზე ჩვენ არ შეგვხებია. ის, რაც ჩვენით უნდა გაგვეკეთებონა, კრიზისის პერიოდშიც გავაკეთეთ“, – ამბობს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თიკა რუხაძე. მისივე თქმით, კომპანია ყოველთვიურად კლიენტებისგან მისალები თანხის მხოლოდ სამ პროცენტს იღებს.

6-ჯერ ნაკლები კლიენტი ჰყავს კიდევ ერთ ცნობილ დეველოპერულ კომპანია „აქსისს“, თუმცა მისი პრობლემებიც „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მსგავსია. მართალია, ამ კომპანიამ მხოლოდ ერთი მშენებლობა დააკონსერვა, მაგრამ ამ ეტაპზე კლიენტებს პირგასამტებლოს არც ის უხდის. დღეს ამ პირობას ვერ ასრულებს ვერც ერთი დეველოპერული კომპანია, ზოგიერთ მათგანს კი ეს ვალდებულება საერთოდ არ აქვს აღებული.

„საშენებლო კომპანიების მიმართ ჩვენ ცოტა ლინალურები ვართ იმ კრიზისის გამო, რაც ჯერჯერობით ქვეყანაში კვლავ არსებობს“, – ამბობს თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ზვიად კერვალმწვილი და დასძნეს, რომ სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ჯარიმები არც ბინის მყიდველების ინტერესში შედის და არც – მშენებელი კომპანიის.

მერიის მხრიდან ასეთი ლინალური დამკიდებულება მშენებელი კომპანიების მიმართ ორგვარად შეიძლება

■ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ „საიმედოობა“ უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. კომპანია ვერ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერ კლიენტებს, ვისაც თანხა სრულად აქვს დაფარული და ვისთვისაც ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა ჩატარობინათ ბინა – არც პირგასამტებლოს უხდის, არც ბინას აბარებს და არც გადახდილ თანხას უბრუნებს უკან.

პოინტი ჯგუფი“ არც ერთ ხელშეკრულებაში არ ფიგურირებს.

რასაც ხოშარაულის ქუჩაზე მშენებარე პროექტში პერდებოდნენ კლიენტებს, დღეს თითქმის არაფერია შესრულებული. ჯერჯერობით მხოლოდ ის ერთი კორპუსია გარეგნულად ბოლო ეტაპამდე მიყვანილი, რომელიც ქუჩის (სანაპიროს) მხარესაა, ხოლო შეგნით მშენებარე კორპუსთან ამწე, უკვე წელინადზე მეტია, გაჩერებულია. ეს კორპუსი საბოლოოდ 5-სადარბაზოიანი და 16-სართულიანი უნდა ყოფილიყო. დღეს ამ სახლის ყველაზე დაბალი ნაწილი მეტეთე სართულამდეა აყვანილი, ყველაზე მაღალი კი – მეთხუთმეტემდე. ყველა ბინა უკვე გაყიდულია. სხივრედ ამ ხუთ სართულამდე მიყვანილ ნაწილში უნდა მიეღოთ ენუქიძებს ბინა ჯერ კიდევ 2009 წლის თებერვალში.

ენუქიძებს ხელშეკრულება „ცენტრ პოინტი სითისთან“ აქვთ დადე-

„ცენტრ პოინტი ჯგუფთან“ დაკავშირებული ყველა კომპანიის კლიენტების მიერ ყოველთვიური შემონატანით 5-დან 12 მილიონამდე უნდა იყოს, ახლა მხოლოდ 500-800 ათასამდე შემოდის. ეს პირდაპირპროპორციულად აფერხებს მშენებლობის პროცესებს“, – აცხადებენ.

„ცენტრ პოინტი ჯგუფის“ „საიმედოობა“ უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. კომპანია ვერ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერ კლიენტებს, ვისაც თანხა სრულად აქვს დაფარული და ვისთვისაც ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა ჩატარებინათ ბინა – არც პირგასამტებლოს უხდის, არც ბინას აბარებს და არც გადახდილ თანხას უბრუნებს უკან. ასეთი ადამიანების რიცხვი კი საკმაოდ ბევრია. კომპანიაში ამბობენ, რომ მათი 12 ათასი კლიენტიდან დაახლოებით 20 პროცენტს (2400 კლიენტი) თანხა სრულად აქვს დაფარული.

შეფასდეს – სწორად გადადგმული ნაბიჯი ან „დათური სამსახური“.

„მშენებლობის დასრულების ვადის ექვსი თვეს გადაცილების შემდეგ, ყოველთვე კომპანიამ მთლიანად გადახდილი თანხის 0,2 პროცენტი უნდა გვიხადოს. ჩვენ კი თანხის გადახდის ყოველ გადაცილებულ დღეზე უნდა გვეხადა 0,2 პროცენტი. უკვე 4 წლია, ჩვენი თანხით კომპანია სარგებლობს, ახლა კი ამ აბსურდული პროცენტის გადახდაზეც უარს გვეუბნება, არც თანხას გვიბრუნებს უკან და არც სხვა რომელიმე დასრულებულ პროექტში გადავყავართ“, – აცხადებს ანასტასია ენუქიძე.

საჯარიმო თანხებს რომ არ იხდიან, ამას „ცენტრ პოინტი ჯგუფშიც“ ადასატურებენ. „საჯარიმო თანხებს ჩვენი კლიენტები ვერ მიიღებენ, იმიტომ რომ ფიზიკურად არ არსებობს ამის შესაძლებლობა“, – ამბობს თიკა რუხაძე.

გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველს მინიმალური ვალიფულებები აქვს, მყიდველს კი – საკმაოდ ბევრი.

იურისტების შეფასებით, მყიდველთან დადებული ხელშეკრულება კაბალურია.

„მე ამ დოკუმენტს ხელშეკრულებას ვერ დავარქმევ, ხელშეკრულების ფორმა აქვს, მაგრამ შინაარსი – არა. ეს არის გამყიდველის სასარგებლოდ შედგენილი რაღაც დოკუმენტი, რომელიც მყიდველს აყენებს კაბალურ მდგომარეობაში. მყიდველს პრაქტიკულად არჩევანიც არ აქვს, როგორ მოიქცეს. ასეთ შემთხვევაში, თუდაც სასამართლო პროცესები გაიმართოს, დიდია ალბათობა, რომ სამშენებლო კომპანია მოუგებს კლიენტს, თუნდაც ამ ხელშეკრულების პუნქტებიდან გამომდინარე“, – ასე აფასებს ხელშეკრულებას იურისტი როინ გელაშვილი. მისი თქმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები კი დარღვეული აქვს გამყიდველს, მაგრამ ამავე ხელშეკრულებაში ჩადებული პირობებით ფორსმაჟორად იმდენი რამ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მას შეუძლია სწორედ ერთ-ერთი ასეთი გარემოება დაასახელოს მშენებლობის შეფერხების მიზეზად სასამართლოში, რის საფუძველზეც სარჩელის ავტორი პროცესს ვერ მოიგებს.

„ცენტრ პოინტი ჯგუფი“ გამონაკლისი არ არის. მისი ეს ხელშეკრულება, შეიძლება ითქვას, რომ ტიპურია სამშენებლო კომპანიების უმრავლესობისთვის.

სამშენებლო კომპანიების კეთილსინდისიერი გადამხდელი კლიენტები მხოლოდ სასამართლოს თუ მიმართავენ. თუმცა, ეს პროცესი კიდევ ახალ ხარჯება და დროსთანაა დაკავშირებული. ასეთ საქმეზე ადვოკატის მომსახურება კლიენტს დაახლოებით 2000-3000 დოლარი დაუჯდება. თუ საჩივრის ავტორი თანხის უკან დაპრუნებას მოითხოვს, მაშინ მან სასამართლოს, ბაჟის სახით, მოთხოვნილი თანხის 3 პროცენტი უნდა გადაუხადოს.

მშენებელ კომპანიას შეუძლია ეს პროცესი 2-3 წელიწადსაც გაწელოს. მოგების შემთხვევაში, საჩივრის ავტორი სასამართლოს განაჩენით მიდის აღმასრულებელთან, რომელმაც ეს თანხა კომპანიიდან უნდა ამოიღოს. შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ ამ სამშენებლო კომპანიას არც ქონება

აქვს და არც ფული. გამოვა, რომ პროცესი მოგებულია, მაგრამ რეალურად ფულს ვერ მიიღებს.

დღეს იმდენად კრიზისულია სამშენებლო ბიზნესში შექმნილი ვითარება, რომ, ექსპერტების აზრით, დეველოპერული კომპანიების ერთი ნაწილი გაკოტრებას ვერ გადაურჩება. რაც უფრო მსხვილია კომპანია, მას უფრო მეტად გაუჭირდება კრიზისიდან გამოსვლა, სახელმწიფოს დახმარების გარეშე კი ეს შეუძლებელი იქნება. ■

■ სამშენებლო კომპანიების კეთილსინდისიერი

**გადამხდელი კლიენტები
მხოლოდ სასამართლოს
თუ მიმართავენ. თუმცა,
ეს პროცესი კიდევ ახალ
ხარჯება და დროსთანაა
დაკავშირებული.**



■ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლისა, თბილისი, ქსნის ქუჩა 2010

ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები

სახელმიწოდებელი სახალხო მოქალაკების ნინაღვები

2009 წლის 6 მაისს საპროტესტო აქციისას დაბრმავებული
დავით ჩანტლაძე და ირაკლი ხომასურიძე საქართველოს
სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში უჩივიან.



ფოტო: სამართლო

მაგდა მემანიშვილი „სტუდია მონიტორი“

2009 წლის 6 მაისს პოლიციამ, საზოგადოებრივი მაუწყებლის უურნალისტის ნიკა ავალინისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, საპროტესტო მოძრაობის სამი აქტივისტი დააპატიმრა – მელორ ვაჩინაძე, გიორგი ონიანი და რევაზ რევაზიშვილი. მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამართალდამცავები დაკავებულებს ფიზიკურად და მორალურად შეურაცხყოფი. მომიტინგები გია გაჩერილაძესთან ერთად დაკავებულების დასაცავად დილომში, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან წავიდნენ. გაჩერილაძემ დაკავებული ახალგაზრდების გათავისუფლება მოითხოვა. შემდეგ იგი ეზოს ღობეზე გადავიდა და პოლიციის შენობაში წერილობითი მიმართვის შეტანა სცადა. ამან დიდი არეულობა გამოიწვია. შეერებილი ადამიანების ერთი ნაწილი გისოსებს მიაწვა, ზოგმა გადაძომაც დააპირა.

დავით ჩანტლაძე და ირაკლი ხომასურიძეც ამ აქციაზე იმყოფებოდნენ. „ხალხს ვაკავებდით, რომ ლობეს არ მისწოდონენ. იყო სიტყვიერი შეხლა-შემოხლა, მაგრამ უმეტესობა ამბობდა, – დღეს გიორგობაა, ამ დღეს ვცეთ პატივი და დაწყნარდითო. ეს ვიდეო კადრებშიც ჩანს“, – ამბობს ჩანტლაძე.

„ყველანი ერთმანეთს ვაჩერებდით. ამ დროს მომხვდა ტყვია. თავიდან ვერ მივხვდი, რა მოხდა. ისეთი დაწ-

ტყმა ვიგრძენი, მეგონა, დიდი აგური ან ბლოკი მომხვდა. ისეთი ტკივილი დამეწყო, მერჩივნა, ნამდვილი ტყვია მომხვედროდა, რამდენჯერაც თვალს დავასამხამებდა, ტკივილი კიდევ უფრო მიმდაფრდებოდა“, – იხსენებს ირაკლი ხომასურიძე.

ხომასურიძე და ჩანტლაძე იმ ღამესვე საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ჩანტლაძეს თვალი მთლიანად ამოკვეთეს; ხომასურიძემ კი ცალ თვალში მხედველობა სრულიად დაკარგა. მოგვიანებით ჯანდაცვის სამინისტროს დახმარებით იგი ვენაში წაყვანეს და ქართველი ექიმის, ნანობაშვილის კლინიკაში ჩაუტარეს გამოკვლევები.

„ვენის კლინიკაში მითხრეს, რომ თვალში სისხლი მქონდა ჩაქცეული და ვიდრე არ გაინოვებოდა, კონკრეტულს ვერაფერს მეტყოდნენ, – შეიძლება თვალი სულ ამოსალები გაგვიხდეს და პროტეზი დაგჭირდეს. ოთხი კვირის შემდეგ ხელახლა უნდა გავესინჯე ექიმს, თუმცა ვენაში ჩემ ჩაყვანაზე აღარავის უზრუნვია“, – გვითხრა ირაკლი ხომასურიძემ.

ჩვენ წერილობით მივმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს და ვთხოვეთ, აეხსნათ, თუ რატომ აღარ დაინტერესდნენ ხომასურიძის მდგომარეობით, თუმცა პასუხი ვერ მივიღეთ.

სახელმწიფო საერთოდ არ დაინტერესებულა დავით ჩანტლაძის ჯანმრ-

თელობით. ჩანტლაძის ოპერაციის, მედიკამენტებისა და რეაბილიტაციის ხარჯები მთლიანად კლიმიკა „ნიუჰოს-პიტალბემა“ გადაიხადა, ხოლო ექიმმა დიმიტრი თადუმაძემ თვალის პროთეზი უფასოდ გაუკეთა. მას ყოველ 4-5 წლიწადში თვალის ახალი პროთეზი დასჭირდება, რაც სერიოზული თანხა ღირს.

დავით ჩანტლაძე: „ძალაში შევწუხდი, როცა ვნახე, რომ პროთეზის ფული არავინ ჩარიცხა. ბოლოს დიმიტრი თადუმაძემ მითხრა, – კარგი, დათო, ნუ წუხხარ, ჩათვალე, რომ მე შენ ეგ პროთეზი გაჩუქრე, მაჩუქა ერთხელ, მაგრამ სულ ხომ ვერ მაჩუქებს?“

სახალხო დამცველმა სოზარმა და ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „Human Rights Watch“-მა ხელისუფლებას მიმართა და სთხოვა, 6 მაისის ინციდენტი სწრაფად და ბიექტურად გამოეძიებინა.

ჩვენ წერილობით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და ვთხოვეთ, მოენოდებინათ ინფორმაცია, თუ როდის ალიძრა სისხლის სამართლის საქმე, არიან თუ არა დავით ჩანტლაძე და ირაკლი ხომასურიძეც ცნობილი დაზარალებულებად, რომელი პროკურორი ზედამხედველობს სისხლის სამართლის საქმეს და რაეტაპზეა ამჟამად გამოძიება.



■ შეტაკება მომიტინგვებსა და პოლიციებს შორის თბილისის პოლიციის მთავარ სამსართელოსთან, დილმი, 6 მაისი 2009



■ ირაკლი ხომასურიძე, 6 მაისის შეტაკების მონაწილე, რომლის დროსაც მან თვალი დაკარგა, თბილის 2010

ფოტო ლევან ჯარალიავაშვილი

პროკურატურიდან გვიპასუხეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა არც ჩანტლაბე და არც ხომასურიძე გამოძიებას არ დაუკითხავს. ისნი, არათუ დაზარალებულად, არამედ მომზებადაც არავის დაუბარებას. ჩანტლაბის ადვოკატის, მიტროფანე სტურუას თქმით, მან საქართველოს მთავარ პროკურატურას სამჯერ მიმართა და 6 მაისის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა, აგრეთვე, მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაზარალებულად ცნობა მოითხოვა, თუმცა პროკურატურიდან პასუხი არ მიუღია.

6 მაისს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო. „ლიბერალის“ მონაცემებით, მხოლოდ ღუდუშაურის სახელმწიფო კლინიკაში იმ ღამეს 24 დაზარალებული მიიყვანეს, თუმცა მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც საავადმყოფებს არ მიმართეს.

მოგვიანებით, 24 ივნისს, თბილისის მთავარ პროკურორს დავით საყვარელიძეს საჩივრით მიმართა 6 მაისს დაზარალებულმა კიდევ 14-მა ადამიანმა (მათ შორის პოლიტიკოსებმა – შალვა ოგბაიძემ, ქადაგმა გაჩერჩილაძეებმა, გია მაისაშვილმა) და მოითხოვეს 6 მაისის ინციდენტის თბილის გამოძიება. როგორც მთავარი პროკურატურა გვატყობინებს, ეს საჩივარიც თან ერთვის

სისხლის სამართლის საქმეს. ჩვენ დაუკავშირდით საჩივრის 14 ავტორიდან უმრავლესობას. როგორც აღმოჩნდა, არც ერთ მათგანი პროკურატურას არ დაუკითხავს.

„როგორ შეიძლება გამოძიება მიმდინარეობდეს ისე, რომ დაზარალებული არ იყოს დაკითხებული. ეს წარმოუდგენელი რამ არის, ამიტომ ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ გამოძიება არ მიმდინარეობს, თორემ ერთხელ მაინც დაუძახებდნენ, ერთხელ მაინც მივიღოდა თვითონ დაზარალებული და ეცოდნებოდა, რომ უყურადღებოდ არ არის დატოვებული სახელმწიფოს მიერ“, – აცხადებს ექსპერტი სისხლის სამართლის საკითხებში ოთარ გამყრელიძე.

6 მაისის დანაშაულის ნიშნები

არსებობს რამდენიმე არსებითი გარემოება, რაც, ექსპერტების აზრით, 6 მაისის ინციდენტს დანაშაულის იერსახეს აძლევს. პირველი – პოლიციამ რეზინის ტყვიერი და პლასტიკური ჭურვები ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გამოიყენა. „გაფრთხილება კი არა, თავში დამიზნებით ისროდნენ, მანდ რომელ გაფრთხილებაზეა ლაპარაკი?! თვითონ ძვალზე რომ გასკდა ტყვია, იმის მერე მაქს თვალი ითხ ადგილას გაგლევილი“, – ამბობს დავით ჩანტლაბე.

■ 2009 წლის 6 მაისს

პოლიციას მომიტინგების დასაშლელად რეზინის ტყვიებისა და პლასტიკური ჭურვების გამოყენების უფლება არ ჰქონდა, რადგან პოლიციის შესახებ კანონი მაშინ ასეთი იარაღის გამოყენების უფლებას არ იძლეოდა.

მეორე და, ალბათ, უმთავრესი გარემოება ისაა, რომ 2009 წლის 6 მაისს პოლიციას მომიტინგების დასაშლელად რეზინის ტყვიებისა და პლასტიკური ჭურვების გამოყენების უფლება არ ჰქონდა, რადგან პოლიციის შესახებ კანონი მაშინ ასეთი იარაღის გამოყენების უფლებას არ იძლეოდა. ეს უფლება საქართველოს პარლამენტმა პოლიციას ორი თვის შემდეგ, ანუ 2009 წლის 17 ივნისს დაუკანონა და კანონის მე-12 მუხლში იმ სპეციალური საშუალებების ნუსხას, რომლის გამოყენების უფლებაც ძალოვნებს აქვთ – „ნინაჯის გაზით, აკუსტიკური საშუალებებითა და არალეტალური იარაღით“, „პლასტიკური ჭურვი“ დაემატა.

ადგოკატ ლია მუხაშავრიას თქმით, ორი თვის მერე იარაღის დაკანონება არი თვის წინ ჩადენილ ქმედებას კანონიერ ქმედებად ვერ აქცევს: „6 მაისს ასეთი რამ არ იყო დასაშვები, განსაკუთრებით მშვიდობიანი, შეუიარაღებელი ადამიანების წინააღმდეგ. ეს ტენდენცია ძალიან აშკარას ხდის ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების განზრახვას, დაკანონოს ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის ფაქტი“, – ამბობს მუხაშავრია.

2009 წლის ივნისში ეურნაა „ლიბერალისათვის“ მიცემულ კომენტარში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა თქვეს, რომ მომიტინგების წინააღმდეგ, ჩინური წარმოების რეზინის ტყვიერის გარდა, ბელგიური წარმოების პლასტიკური ჭურვები, FN-303 გამოიყენეს. მესამე ვარემოება სწორედ ისაა, რომ პლასტიკური ჭურვი, რამაც საბოლოოდ ორ მოქალაქეს თვალი დაკარგვინა, ესროლეს ახლოდან (ჩანტლაძისა და ხომასურიძის თქმით, მაქსიმუმ 5 მეტრიდან) და ესროლეს სახის არეში. არადა,

ლობისათვის, რადგან იდეალურად ჯდება თვალის ბუდეში. 6 მაისის კადრებში კი ჩანს, რომ მომიტინგებს ტყვიერი უმეტესად სწორედ თავის არეში – შუბლში, კეფასა და სახის მიდამოებში ჰქონდათ დამიზნებული. სამხედრო ექსპერტის ირაკლი სესიაშვილის თქმით, თავში დამიზნებით მომიტინგების სიცოცხლეს საფრთხე შეექმნათ.

„ტყვიის სიჩქარე არის დაახლოებით 330 კმ/საათში, რაც არის 90 მ/წნ-ში. მას შეუძლია 100-150 მეტრის მანძილზე მიაღწიოს მიზანს, ესეც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და, რაც ყველაზე მთავარია, მას აქვს საკმაოდ სერიოზული დარტყმის მიყენების საშუალება. 30-50 მეტრის მანძილზე მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ წელს ქვემოთ სრილით. ასევე მითითებულია, რომ თუ წელს ზემოთ, ან თავში მოხვდა, შეუძლია სხეულის შიდა ორგანოების დაზიანება და განსაკუთრებით საშიშია თვალისთვის“.

„ლიბერალი“ წერდა, რომ ქართულ სპეცრაზმს ამ იარაღის გამოყენების

სწორების თვალში მოხვდა, 12 საათის შემდეგ იგი გარდაიცვალა. გვამის გაკვეთამ აჩვენა, რომ ტყვიამ მას თვალის უკანა ძვალი შეუმტვრია, ცხრანანილად დაიძძალა და ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო დაუზიანა.

სწორების საქმე დეტალურად გამოიძიეს, ბოსტონის პოლიციის კომისარმა კეტლინ ოტულმა შიდა გამოიძიების შედეგად გამოავლინა, რომ ტყვია პატრულმა როშეკორტ მილენმა ისროლა. მილენი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბოსტონის პოლიციამ დაღუპულის ოჯახს 5 მილიონი დოლარი გადაუხადა. ამ ინციდენტის შემდეგ ბოსტონის პოლიციამ ბელგიური FN-303 ხმარებიდან ამოიღო და მისი მარაგი გაანადგურა.

ჩართველები სამართალს სტრატეგიული ეპიზოდი

მხედველობა დაკარგული დავით ჩანტლაძე და ირაკლი ხომასურიძე თავს სახელმწიფოსგან იგნორირებული

■ ბელგიური FN-303 რომ სიცოცხლისათვის საშიშია, 2004 წლის 20 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბოსტონში მომხდარმა ინციდენტმაც დაადასტურა. პლასტიკური ტყვია 21 წლის სტუდენტ გოგონას ვიქტორია სწორების თვალში მოხვდა, 12 საათის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ბელგიური წარმოების იარაღის FN-303-ის ინსტრუქციაში წერია, რომ ამ იარაღის დამიზნება სახის არეში არ შეიძლება, და რომ 10 მეტრზე უფრო ახლო მანძილიდან სროლის შემთხვევაში, პლასტიკურმა ჭურვმა შეიძლება ადამიანი მოკლას.

FN-303 - არამომაკლინებელი თუ ნაკლებადომაკვლინებელი?

ქართული წყაროები, მათ შორის ოფიციალური – FN-303-ის აღნერისას ხმარობენ ტერმინებს – არალეტალური, ანუ არამომაკვდინებელი, თუმცა ეს იარაღი ნაკლებადლეტალურ, ანუ ნაკლებად მომაკვდინებელ იარაღად მიიჩნევა. ეს ტერმინოლოგია ნათლად მიანიშნებს, რომ იარაღი სიცოცხლის-თვის სახითვათოა.

ჩვენ მიერ მოძიებულ ინსტრუქციებში წერია, რომ FN-303-ით ნასროლი პლასტიკური ტყვიის დამიზნება დაუშვებელია სახის არეში, რომ იგი განსაკუთრებით საშიშია მხედვე-

ინსტრუქციაში ბელგიელმა სპეციალისტმა ჩაუტარა. შეს სამინისტროს წარმომადგენლელთა განმარტებით, მათ არ იცოდნენ, რომ აღნიშნული იარაღის დამიზნება თავის მიდამოებში არ შეიძლებოდა. მათი თქმით, არ ყოფილა სპეციალური ბრძანება, რომელიც მომიტინგებათავის სახეში დამიზნებას აკრძალვდა.

ირაკლი სესიაშვილი: „ამ იარაღის ასე ყოველგვარი ინსტრუქციისა და შესაბამისი წესების დაცვის გარეშე გამოყენება არის ისეთივე საშიში, როგორც ჩვეულებრივი ცეცხლსასროლი იარაღის“.

ბელგიური FN-303 რომ სიცოცხლისათვის საშიშია, 2004 წლის 20 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბოსტონში მომხდარმა ინციდენტმაც დაადასტურა. ამ დღეს საფეხბურთო გუნდის გულშემატკივართა დასაშლელად პოლიციამ სწორედ ეს იარაღი გამოიყენა. პლასტიკური ტყვია 21 წლის სტუდენტ გოგონას ვიქტორია

ლებად გრძნობენ. ჩანტლაძე მესამე ჯგუფის ინვალიდია.

მაშინ, 90-იან წლებში, ლიბერალური ლირბულებების სადარაჯოზე მმართველი პარტიის – „მოქალაქეთა კავშირის“ „რეფორმატორთა“ ფრთა იდგა. ისინი აქტივორად იპიროდნენ ამ ლირბულებების დამტკიცირებისთვის და ამ გზით ერთს მოდერნიზაციას ცდილობდნენ. დღეს ეს გუნდი ქვეყნის ხელისუფლებაშია და, შესაბამისად, ამ ლირბულებების დასაცავად ბევრად მტკიცერებული აქცია.

მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით არც ისე შორს წავედით. მეტიც, ვამენები კვაზი-პატრიოტულ ბანაქს, რომელშიც ვეზევრობთ და რომელის მავთულხლართებიც სულ უფრო გაუვალი ხდება.

ამ „ფეისბუქზე“ ისტორიაში ერთი კარგი ამბავი მაინცაა. ახალ გვერდზე, სახელნოდებით „სიკვდილი ჰომოსექსუალებს“, ახალი ტენდენცია გამოიკვეთა: სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ გამოხტომებს სულ უფრო ხშირად სპონტანურ და გულწრფელ წინააღმდეგებას უწევენ ის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულთა წრეს აშკარად სცილდებან. გვერდის ადმინისტრორები და მათი მხარდაჭერები კი უკავიყოფილებას ვერ მაღავენ და გაკვირვებულები კითხულობენ, თუ რატომ ესარჩევის „ნორმალური განწყობასაც აპათილებან“. █

წარმატების ცენტრის გამოვლის

სახელმწიფომ სათამაშო ბიზნესზე მონოპოლია გამოაცხადა. ტენდერის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე, სატენდერო წინადადებები დახურა, გამარჯვებულად კი, ტენდერის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე შექმნილი „საქართველოს ლატარიის კომპანია“ დაასახელა.

მაია წიკლაური



■ „საქართველოს ლატარიის კომპანიის ლატარიის გათამაშება, თბილისი 2010

2009 წლის 24 მარტს ლატარიის ბიზნესში თამაშის წესები რადიკალურად შეიცვალა. ყველა მოქმედ კომპანიას ლიცენზია ერთდროულად შეუძლია. „ჯეოლატს“ – ერთნლიანი, „ფენიქს“ კი, როგორც მისი ხელმძღვანელი ხათუნა ხოფერია ამბობს, უვალო ლიცენზია გაუუქმდა. ამ მოქმენებისთვის „ფენიქსი“ ლოგოს პარალელურად მომენტალური გათამაშების ამოქმედებასაც გეგმავდა. ორივე კომპანიას სახელმწიფომ საქმიანობის დასასრულებლად 3 თვის ვადა მისცა.

ამ მიშნებულოვანი ცვლილების მიზეზი „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებანი თამაშობების შესახებ“ კანონის ახალი ინტერპრეტაცია გახდა. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ ლატარიებისა და მომენტალური გათამაშების ლიცენზიის მფლობელი მხოლოდ ერთი კომპანია შეიძლება იყოს. კომპანიას, რომელსაც ეს უფლება 10 წლით ენიჭება, ფინანსთა სამინისტრო არჩევს.

აუცილებელი პირობების მომზადების შემდეგ 2009 წლის 15 აპრილს ფინანსთა სამინისტრომ ლიცენზიაზე ტენდერი გამოაცხადა. მსურველებს წინადადებების შესატანად ერთი თვე მისცეს. ვერც „ფენიქსა“ და ვერც „ჯეოლატმა“ გართულებული სატენდერო პირობები ვერ დაკავშირდებოდა. მათ ჩათვალეს, რომ მონიკოლურ სისტემაში საქმიანობის გაგრძელებისთვის ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და ბაზარი ტენდერში მონაბილების გარეშე დატოვეს.

„ფენიქსი“ ხელმძღვანელი ხათუნა ხოფერია იხსენებს, რომ კომპანიის დახურვა მისთვის შეორი იყო. „მოგასჩერებდათ მომზადებას ტენდერისთვის, მაგრამ საკმაოდ დიდი კაპიტალდაბნება იყო საჭირო. ვაპოვეთ ინვესტორი, მაგრამ ვიდრე მან მომზადა თავისი წინადადებები, აპარატურის დასახელებები, აღნერილობები და ა.შ., დოკუმენტაციის შეტანა ვერ მოვასწარით“, – ამბობს ხოფერია. მისი თქმით, სატენდერო პირობებში გარკვეული ხარვეზები იყო, თუმცა ამაზე საუბარს საჭიროდ არ თვლის. შეს „ჯეოლატის“ ყოფილი ხელმძღვანელი წიკო დოდაშვილი კი გადაწყვეტილებას, არ მიეღო ტენდერში მონაბილება, ასე ხსნის: „ამ ბიზნესის გაგრძელების სურვილი აღარ გვქონდა. თან უკეთეს საქმეს ვიწყებდი და ამიტომ აღარ მოვინდომე“. „ლიბერალთან“ სატელეფონო საუბრიას დოდაშვილი ამბობს, რომ საკმაოდ მომგებიანი ბიზნესის შემცველელი „უკეთესი საქმე“ ჯერაც არ დაუწყია და ამ ეტაპზე ძველ საქმიანობაზე მედიასთან საუბარი

არ სურს.

საბოლოოდ სატენდერო კომისიაში 5 კომპანიის განაცხადი აღმოჩნდა. თუმცა 12 ივნისს კომისიის სხდომაზე მხოლოდ შეს „ტენდერობის“ და შეს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ წინადადებები განიხილეს. შეს G-LOT, შეს „ტოტო-ლოტო საქართველო“ და შეს „საქართველოს ეროვნული ლატარიის კორპორაცია“ ტენდერის მეორე ეტაპზე ვერ მოხვდენ. ტენდერში „საქართველოს ლატარიის კომპანია“ გაიმარჯვა და პირველად გამოჩნდა ქართულ ბაზარზე.

„ტენდერის პირობები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კონკურენტებს კომისიას ორიგინალური და ექსკლუზიური წინადადებით მოხებდა. სახელმწიფოსთვის არ უნდა ჰქონდეს მიშნებულობა ისეთ ფაქტორებში, როგორიცაა ავტომატის ტიპები, პრინტერების ფერი და ბეჭდვის სისწრაფე. მათ თთქმის წინასარ იციდენ, როგორი უნდა ყოფილოყო გამარჯვებული კომპანია და წესებიც ამის მიხედვით შექმნეს“, – ამბობს GIPA-ს ლექტორი, ეკონომისტი თენგიზ შერგელაშვილი.

შეს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ ტენდერის ჩატარებამდე ერთი თვით დღრე შეიქმნა. თბილისში ის 2009 წლის 8 მაისს დარეგისტრირდა. კომპანიის დამფუძნებელი და 100-პროცენტუანი წილის მფლობელი შეს „ლექსორ კაპიტალ კორპია“. ეს კომპანია ვირჯინიის ჟუნდულებზე ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული. ქართული კომპანიის გენერალური დირექტორია ალექსანდრე გოგონა. მართვას ქართველებთან ერთად ჰონკონგის ჯგუფი და ებრაული მსარე ახორციელებს. კომპანიის 250 მუდმივი თანამშრომელი მუშაობს და 4000-მდე სავაჭრო აგენტია ჩატარული მთელი ქვეყნის მასშტაბთ.

ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ უპირატესობა იმის გამო მიანიჭა, რომ მან სახელმწიფოს ყველაზე მაღალი მოგების გარანტია მისცა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდიდან ვიგებთ. სამინისტროდან ვერც წერილობით და ვერც სიტყვიერად ვერ მივიღეთ პასუხი, თუ სხვა რა კრიტერიუმების საფუძვლზე შეირჩა ბაზრის ერთადერთი მოთაბაშე.

ტენდერში მონაბილებს, საშემოსავლო ვალდებულებების ჩათვლით, 10 კრიტერიუმის მიხედვით აფასდნენ.

მაგალითად, პრეტენდენტებს უნდა წარედგინათ გეგმა, თუ რა პრინციპით

განათავსებდნენ სავაჭრო ობიექტებს, რა ტიპის ტენდერით აღმოჩნდნენ და როგორ უზრუნველყოფნენ თამაშის უსაფრთხოებას. სატენდერო კომისიას უნდა განეხილა, თუ ვინ უკეთ დაიცავდა მომხმარებელს გაყალბებისგან. კანონმდებლობით, ტენდერში მონაბილური კომპანიების მიერ წარდგენილი წინადადებები და შერჩევის კრიტერიუმები ყველასთვის ლია უნდა ყოფილიყო. თუმცა მიუკლონელად, ტენდერის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე, მთავრობამ N74 დაგენილებით ლატარიის ლიცენზიის მოსაპოვებლად წარდგენილი სატენდერო წინადადებები დაბურა და საიდუმლო გახადა.

კონფიდენციალური ინფორმაციის გამო, ტენდერის ჩატარებიდან 10 თვის მეტეც ბუნდოვანია, რა ტიპის კონკურენცია შედგა კომპანიებს შორის და რა გარანტიები მიიღო სახელმწიფომ გამარჯვებულისგან.

„საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ პირობა დადო, რომ ბილეთების გაყიდვით 10 წლის განმავლობაში 4,2 მილიარდი ლატის შემოსავალს მიიღებდა. 913 მილიონ ლარს კი ბიუჯეტში გადარიცხავდა. რა გათვლები აქვს კომპანიას, და რა მოხდება, თუკი კომპანიის შემოსავლები დაგეგმილზე შევრად ნაკლები იქნება? – პასუხი ამ კითხვაზე არ გვაქვს, მიზომ, რომ სახელმწიფომ ამ ინფორმაციის გაცემა აკრიალა.

კანონი და სატენდერო პირობები გამარჯვებულს ცალსახად ავალდებულებს, რომ მან ბიუჯეტში მიღებული შემოსავლების 20%-ზე ნაკლები არ უნდა შეიტანოს. მარტივი განგარიშებით, „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ 4,2 მილიარდი ლარის თანაბრად მიღების შემთხვევაში, 10 წლის განმავლობაში ყოველდღიურად საშუალო 1,1 მილიონი ლარის ლირებულების ბილეთი უნდა გაყიდოს.

„ვფიქრობთ, გამარჯვებულმა არარეალური ციფრები წარმოადგინა. ამხელა თანხის ამოღება უბრალოდ შეუძლებელია და გაუგებარია, რატომ მიანიჭეს უპირატესობა „საქართველოს ლატარიის კომპანიას“, – ამბობდა ტენდერის დასრულებისას „ტენდერობის პლუსის“ ადგიკატი დიმიტრი გაბურია. ამერიკულ კომპანიას, რომელსაც საქართველოში „თაბის ჯგუფი“ წარმოადგინდა, სატენდერო პირობები უნდა გაყიდოს გასაჩინოებისაგან თავი შეიკვეთა არ დაუწყია და აცხადება მის მიზანის გადაწყვეტილებას. ეს კითხვაზე არ გვაქვს, მიზომ, რომ სახელმწიფომ ამ ინფორმაციის გაცემა აკრიალა.

ბაზრის ძველი მოთამაშეები კი იხსენე-

ბენ, რომ მათ მიერ გაყიდული ბილეთებიდან შემოსავალი კვირაში 50 ათასიდან 100 ათას ლარამდე მერყეობდა. უხეში გათვლებით, 10 წლითადში ორივე ერთად 100 მილიონ ლარის შემოსავალს მიიღებდა, რაც „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ დანაბირებზე 42-ჯერ ნაკლებია. აქვე უნდა აღინიშვნოს, რომ „ფენიქსს“ და „ჯეოლატის“, ასევე „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ფინანსურ შესაძლებლობებს შორის განსხვავება დიდია. ამ უკანასკნელს უპირატესობას არაკონკურენტული გარეშემც აძლევს.

ლატარიის კომპანია, უკვე 5 თვეა, ლატარიისა და მომენტალური გათამაშების ბიზნესში ექსპლუზიური უფლებით სარგებლობს. მას 8 სახის გათამაშება აქვს, მათ შორის 7 მომენტალური ლატარია და ლოტოს გათამაშება – მილიონ ლარზე მეტი ტირაჟით. დღემდე სხვადასხვა თანხა 9 ათასმა ადამიანში მოიგო. მათ შორის ყველაზე დიდი პრიზი 105 000 ლარია.

„საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ ბილეთების გაყიდვით მიღებული თანხების მინიმუმ 45% საპრიზო ფონდში უნდა მოათავსოს. თუმცა, როგორც ლატარიის

სავლის 40%-ს იხდის. საპრიზო ფონდში 45%-ს მიმართავს. დაახლოებით 10% ხარჯებზე ნაწილდება, 5% კი კომპანიის მოგებაა. გადასახადებში გადახდილი 40%-დან 28% სოციალური და სხვა სახის დასმარებებისთვისა განკუთვნილი და სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შექმნილ კომისიაში ირიცხება. ეს კომისია განკარგავს, თუ როგორ მოხდება ამ თანხების სარჯვა.

ქართული ლატარიის კომპანია, უცხოური ლატარიის კომპანიებისგან განსხვავებით, ნაკლებად იტერება. ის ისეთივე გადასახადებს იხდის, რასაც სხვა ტიპის სანარმოების უმრავლესობა საქართველოში. თუმცა თავად ლატარიის კომპანიის ნარმომდეგნები აცხადებან, რომ მათი გადასახად უპრეცენტოდ დიდია.

„ჩვენი მიზანია, ყველას დავანახოთ, რომ სულ უფრო ბევრი ადამიანი იგებს. ეს იქნება ჩვენი წარმატების საწინდარი“, – ამბობს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პარტნერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთანდილ წერეთელი. მისი განცხადებით, კომპანია ახლა მომხმარებლის ნდობის დაბრუნებაზე მუშაობს. ავთანდილ წერეთელი გვიხსნის, რომ ქართული ეკონომიკური გარემო მაინცდამაინც მომგებიანი არ არის და ლატარიის ბიზნესში ინვესტორთა ჯგუფის მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

როცა ტენდერის წინადადებებს ადგენდა, ფინანსთა სამინისტრომ კარგად იცოდა, რომ ბაზარზე არსებული კომპანიები მათ დაქმაყოფილებას ვერ შეძლებდნენ, ვერ მოზიდავდნენ საკმარის ინვესტიციებს ტენდერის მოსაგებად. კანონმდებლობის მხრივ ყველაფერი მომზადება, რომ ბაზარზე ახალი, მსხვილი კომპანია შემოსულიყო და ლატარიის მართვა საკუთართავზე აუღონ.

ავთანდილ წერეთელი გვიხსნის, რომ ქართული ეკონომიკური გარემო მაინცდამაინც მომგებიანი არ არის და ლატარიის ბიზნესში ინვესტორთა ჯგუფის მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

■ „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“, 4,2 მილიარდი ლარის თანაბრად მიღების შემთხვევაში, 10 წლის განმავლობაში ყოველდღე საშუალოდ 1,1 მილიონი ლარის ლირებულების ბილეთი უნდა გაყიდოს.

კომპანიაში აცხადებენ, ეს თანხა 46,5%-ს შეადგენს. გადასახადის სახით, ბიუჯეტში ლატარიიდან 21,5% შედის. დარჩენილი 32 შროცენტი კი ხარჯებსა და კომპანიის სუფთა მოგებაზე ნაწილდება. მოგების ზუსტი რაოდენობა კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს.

ლატარიის კომპანია კანონით იღებს ვალდებულებას, რომ კულტურისა და სპორტის განვითარებაში თავის წვლილს შეიტანს. ეს შენატანი ბიუჯეტში გადახდილი თანხის (მთლიანი შემოსავლის 21,5%-ის) 75% უნდა იყოს. თუმცა ამ თანხის კულტურის სამინისტროს ბალანსზე დარიცხვას არა „საქართველოს ლატარიის კომპანია“, არამედ სახელმწიფო უზრუნველყოფს. მოხდება თუ არა ბიუჯეტში ჩარიცხული 100 ლარიდან 75 ლარის გადარიცხვის კულტურის სამინისტროს ბალანსზე, ამის კონტროლის მექანიზმიც მხოლოდ სახელმწიფოს აქვს.

მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ნაციონალური ლატარიის კომპანიების ვალდებულებები ქართული ვითარებისგან მეტნაკლებად განსხვავებულია. მაგალითად, „ბრიტანეთის ნაციონალური ლატარიის კომპანია“, გადასახადის სახით, შემო-

ბს. ამის მიზანი კი სათამაშო ბიზნესის შელახული იმიჯია. „არაეთილსინდისიერი“ კომპანიები ძეველად მოსახლეობის ნდობით ბორიტად სარგებლობდნენ, – ამბობს წერეთელი.

ხათუნა ხოფერია სხვაგვარად ფიქრობს. ის მიზნევს, რომ მისი კომპანია მოსახლეობს კეთილსინდისიერად ემსახურა და არასდორს გაუცრუებისა ხალხის იმედი – „უბრალოდ, სამთავრობო დადგენილებებს და კანონში ცვლილებებს წინ ვერ აღვადგებოდით. მე ძალიან მინდოდა, რომ დავრჩენილიყავია ამ საქმეში, მაგრამ როცა სახელმწიფო მოდის და ამბობს, – მე ეს ბიზნესი მჭირდება ამ მასტებაში, – ვერ შევინააღმდეგი!

ეკონომისტი თენებიზ შერგელაშეილი სათამაშო ბიზნესის მონოპოლიზებას სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესად მიიჩნევს: „ახლა ყველანარი ბიზნესი ხელისუფლების პოლიტიკურ ამოცანებთან არის დაკავშირებული, ფულის კეთებაც და არყეობაც!“

რაში დასტირდა სახელმწიფოს ლატარიის ბიზნესში სისტემის მონოპოლიზება? თავად სამთავრობო უწყების წარმომადგენლები ამაზე არ საუბრობენ. მოუხე-

ბს არ მაღას, რომ საქართველოში შექმნილი მონოპოლისტური სისტემა ძალიან მინშენელობანი იყო მათი კომპანიისთვის. „ეს იყო ერთ-ერთი გადმინიჭებული პირისა, რომ ჩვენ ინვესტორებს ტენდერში მონაწილეობა მიეღოთ და ქართულ ბაზარზე შემოსულიყვნენ. ძალიან კარგად ერგება ეს სექმა ჩვენს პრიციპებს“, – ამბობს იმ კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც, კლიენტებისგან განსხვავებით, მოგებას არსებობის პირველი დღიდან უკვე შეერგა.

ერთ-ერთ სავაჭრო ჯიხურთან პროფესიონის ინჟინერი, 56 წლის თემური ისევ ლატარიის ბილეთის ყიდულების. ეს პროცედურა უკვე მე-4 წელია, მეორდება და მისთვის ბაზარზე მოქმედი არ აქვს. მთავარი, სწრაფად გამდინარების სურველი არ მოუგადა, რა მათი არა არ არის და ლატარიის ბიზნესში ინვესტორთა ჯგუფის მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.



■ სოფელ აჩაბეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები – ჯემალ და ვენერა ბაბუციძეები, თბილისი, 11 მარტი 2010

ფოტო ლიკა ბაქაძე/სამართლებრივი

იძულებით გადაადგილებული პირები

სხვისი მასისის იმავალი

სამართლოდან დევნილი 600-მდე ოჯახი ფულად დახმარებას ამაოდ ელის.

ნინო რობაქიძე

ჯემალ ბაბუციძე იძულებით გადაადგილებულ პირად 8 აგვისტოს იქცა. სოფელ აჩაბეთიდან მეულლესთან ერთად თბილისში რამდენიმე ხელი ტანსაცმლით და საოჯახო ფოტოალბომით ჩამოვიდა. საბუთები და ოფიციალური დოკუმენტაცია, რაც იმ საშინელ დღეს არც გახსენდიათ, დღეს მათ ძალიან ბევრ პრობლემას მოუგვარებდა. ახლა კი კანონიერი მტკიცებულებების გარეშე დარჩენილი ოჯახი დევნილებისთვის განკუთვნილი დახმარების გარეშე რჩება.

ჯემალ და ვენერა ბაბუციძეები აჩაბეთის სკოლის ჰედაგოგები იყვნენ. ჰქონდათ ფუტკრების საკუთარი მეურნეობა და ამუშავებდნენ მინასაც. მათი შემოსავლის ძირითადი წყაროც ეს იყო. „წელ-

გამართული ოჯახი მქონდა, ყველაფერი ოფლის ფასად მოვიპოვე“, – ამბობს ჯემალ ბაბუციძე.

ბოლო წლებში ბაბუციძეების ოჯახს სოფელში სამი კარ-მიდამო ეკუთვნოდათ – ვაჟები, თავიანთი ოჯახებით, ცალკე დასახლდნენ და სანიტესულო მშობლები – (ცალკე. როგორც ოჯახის უფროსი ამტკიცებს, ოჯახის გაყრილობა დოკუმენტურადაც დადასტურებული იყო და აჩაბეთში, სადაც ბაბუციძეები ბევრი არიან, ეს ყველამ იცოდა. თუმცა, დღეს თბილისში მშობლებიცა და უმცროსი ვაჟიც ერთ თახში ცხოვრიბენ და დევნილობის დახმარებისა განსაზღვრისას ვერაფრით ამტკიცებენ, რომ მათი დიდი ოჯახი დამოუკიდებელ ოჯახებად იყოვა

და დახმარებაც ასე ერგებათ.

სანზონაში, ჩარგლის ქუჩაზე საქატან-დარტის ძეგლისძველ, ავარიულ და მიტოვებულ შენობაში მათ ბუღალტერიის ერთი მოგრძო და ვწნრო თახი დაიკავეს. თახას დიდი ფარგლები და უსაკეტო ხის კარი აქვს. რა თქმა უნდა, არ აქვთ არც სამზარეულო, არც საბაზანო და არც შესასვლელი. ეს ყველაფერი რამდენიმე ოჯახისთვის საერთოა და შენობის ბნელ დერეფანშია განთავსებული.

უფროს ვაჟს გაუმართლა – შს სამინისტროს თანამშრომელი იყო და ბინა გორში იმის დამთავრებისთანავე მიიღო. უცროსი შვილი, პროფესიით სამხედრო ზაქრო ბაბუციძე კი, რომლის სამხედრო ნაწილიც გორშია დისლოცირებული, სა-

მსახურიდან მშობლებთან თბილისში, საქართვის კოფილი შენობის ერთ ოთახში ბრუნდება. დღეს ის ვერაფრით ამტკიცებს, რომ აჩახეთში, თავისი ძმის მსგავსად, ცალკე ცხოვრობდა – ცალკე იხდიდა გადასახდებს და ცალკე კომლად იწერებოდა. სწორედ ამ გაურკვევლობის გამოა, რომ ზაქროს და მის მშობლებს სახელმწიფო შემწეობა დღინდე არ აუღიათ.

ბაბუციძებმა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში კოტეჯის მიღებაზე თავიდანვე უარი თქვეს და მთავრობის მიერ დაწესებულ ალტერნატიულ კომპენსაციას – 10 000 აშშ დოლარს ელოდებიან. ამ თანხით ჯემალ ბაბუციძე სადმე სოფლად, კარ-მიდამოს ყიდვას აპირებს: „უფრო ისეთ ადგილს მინდა, სადაც ფუტკრის ყოლას შევძლებ, რომ საქმე და საჭმლის ფული მქონდეს, რადგან ამ ერთჯერად დახმარებას რომ აეღიებ, მერე ეს დროებითი საცხოვრებელიც უნდა დავტოვო და სხვა შემწეობებზეც უარი უნდა ვთქვა“.

ბაბუციძები მიიჩნევენ, რომ კომპენსაცია ირ იჯაზე უნდა მიიღონ. „მე რომ სოფელში წავალ, ჩემი შეიღო რომ სამხედროა, რა ქნას? სამსახური მიატოვოს და

რეგისტრირებული და რეგისტრირებული არიან მხოლოდ მოქალაქეები ინდივიდუალურად. ამიტომ ძალიან გვიჭირს იმის განსაზღვრა, თუ ვის ეკუთვნის სამართლიანი ეს საკომად სოლიდური ფულადი შემწეობა“, – აცხადებს ქურთას რაიონის გამგებელი დავით დათაშვილი. ის განმარტავს: „ოჯახი ჩვენ რომ მოგვავთხავს, თუ მას საბუთები არ აქვს, ერთადერთი ხერხია, მეხსიერებით ალვიდ-გინოთ, რა როგორ იყო. ამიტომაც ამას მარტო გამგებელი ვერ წყვეტს და ყველა საკითხს ინდივიდუალურად ვუდგინთ კომისიასთან და იმ სოფლის კოორდინატორთან ერთად, რომელი სოფლიდანაც არის კონკრეტული ოჯახი“.

პარველ ეტაზზე პრიორიტეტი მრავალ-შვილინ იჯახებს მიენიჭათ. თუმცა არიან ისეთი ერთსულანი იჯახებიც, რომლებმაც თანხა უკვე აიღეს. „თავის გაჭირვება არ ეყოფოდათ იმ ხალხს, მარტო ვინც იყო? იმიტომ ხომ არ დაეჩაგრავდით, რომ არავინ ჰყავდა?“ – განმარტავს ქურთას გამგებელი. საქართვისამარტის შენობაში მცხოვრები აჩახეთელები კი ამზობენ, რომ ბევრი იჯახი თბილისში ჩამოსვლის

თიდან, მაშინ გავიარეთ რეგისტრაცია და დღეს ამ რეგისტრაციის შედეგებს აღარ უცურებენ“, – ამბობს ჯემალ ბაბუციძე და ხელში ბარათებს ათამაშებს ორი ოჯახის სარეგისტრაციო ნომრებით.

„მაშინ ყველაფერი სტიქიურად ხდებოდა და ვინ სად, როგორ ჩატენერა, მაგას ვერ გამოვეკიდებით“, – აცხადებს ქურთას გამგებელი დავით დათაშვილი. ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის მომლოდინე იჯახები კი თვლიან, რომ პირველადი რეგისტრაციების უგულებელყოფა გამგეობას თავისულად მოქმედების საშუალებას აძლევს. „თუ არა-ფერს არ მიიღებენ მხედველობაში, იმას ჩანერენ 10 000 აშშ დოლარის მიმღებთა სიაში, ვისაც უნდათ“, – ამბობს საქართვისამარტის შენობაში მცხოვრები კიდევ ერთი აჩახეთელი.

აჩახეთის კურატორი, რომელიც ქურთას მუნიციპალიტეტთან არსებული კომისიის წევრია, გადაწყვეტით ვერ ამბობს, ეკუთვნით თუ არა ბაბუციძებს ფულადი დახმარებები და სიტყვას გამგებელს გადასცემს: „მე რა უფლება მაქვს, რომ ვინმეს დავაბრალო, – იტყუებო, – იქნები

■ იძულებით გადაადგილებული ოჯახები სასამართლოში წასვლაზე არც ფიქრობენ – იმის ეშინიათ, საერთოდ არ ამოვარდნენ სახელმწიფოს მიერ დასახმარებელი ოჯახების სიიდან.

მე გამომეკიდოს? მას თავის ქონება და ცხოვრება ჰქონდა და უსამართლოდ, ღია ცის ქვეშ რატომ უნდა დარჩეს?“ – ამბობს ჯემალ ბაბუციძე.

აღმაშენებლის გამზირზე, საჯარო რეესტრის შენობის ნაწილი დევნილობაში მომუშავე მუნიციპალიტეტებს უკავიათ. ქურთის გამგეობაც, რომელსაც სოფელი აჩახეთიც ეკუთვნოდა, ამ შენობის მეორე სართულზე ერთ ოთახში მუშაობს. ახლა შენობის დერეფნები ცარიელია და ბენელი, თუმცა ვიდრე იძულებით გადაადგილებული ოჯახების უმრავლესობის ბედი გაურკვეველი იყო, ხალხი შენობის ეზოშიც კი არ ეტეოდა.

იმისთვის, რომ ბაბუციძების ორმა ოჯახმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსგან ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია მიიღოს, ისინი ქურთის მუნიციპალიტეტთან არსებული საბჭოს მიერ დამტკიცებულ საში უნდა მოხვდნენ, მაგრამ ამ სიაში არ არიან.

„ჩვენს მუნიციპალიტეტს აღარ აქვს არც ერთი დოკუმენტი. განადგურდა საკომისო წიგნებიც. სამოქალაქო რეესტრში კი სამზუხაროდ ოჯახები არ არიან

შემდეგ სპეციალურად დარეგისტრირდა რამდენიმე იჯახად, რათა რამდენჯერმე მიეღოთ 10 000 დოლარი.

2009 წლის ივლისის პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში წერია, რომ ოჯახებმა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე, უნდა მიიღონ 10 000 აშშ დოლარის საკომპენსაციო თანხა. ხოლო თუ ამ იჯახის შემადგენლობაში აღმოჩენდება სამ სულიზე ნაკლები, ფაქტის სისწორე შესაბამისმა მუნიციპალიტეტმა უნდა დაადასტუროს. ბაბუციძების იჯახს კი, ამ დადასტურების სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტი იმ დოკუმენტებს სთხოვს, რომლებიც ფიზიკურად აღარ არსებობს. უარი ეუბნება მონმების მიერ ფაქტის დადასტურებაზეც, რაც შესაძლებელია, და მათი საკითხის განხილვას ყოველ შემდეგ კომისიის სხდომაზე ჰპირდება.

ქურთას მუნიციპალიტეტი არც იძულებით გადაადგილებული პირების 2008 წლის აგვისტოს რეგისტრაციის მონაცემებს ცნობს. „რომ ჩამოვალიერ აჩახე-

სულაც მართლები არიან? მაგრამ კომისიაში ერთად ვწყვეტოთ და ჯერ არ გადაგვიწევთია ეს საკითხი“, – ამბობს დავით დათაშვილი.

საქართვისამარტის შენობაში მცხოვრები აჩახეთელები მტყუან-მართლის გარჩევის გზაზე ვერ ხედავენ და მოთმინებით ელოდებისან, თუ როგორ გადაწყვეტით ვერ ამბობს, ეკუთვნით თუ არა ბაბუციძებს ფულადი დახმარებები და სიტყვას გამგებელს გადასცემს: „მე რა უფლება მაქვს, რომ ვინმეს დავაბრალო, – იტყუებო, – იქნები

ბოლო მონაცემებით, ქურთის მუნიციპალიტეტმა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად, სხვადასხვა სახის დახმარებით 2600-მდე ოჯახი დააკმაყოფილა. აქედან ფულადი შემწეობა 550-მა იჯახმა მიიღო. გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩენილია დაახლოებით 600-მდე ოჯახი და, როგორც ქურთას მუნიციპალიტეტში ამბობენ, მათ უმრავლესობას სწორედ ბაბუციძების ოჯახის მსგავსი პრიბლებები აქვს. ■

რეპორტაჟი

ვინები ყვარელი ბაქები

მდინარე დურუჯი ყვარელს წალეკვით ემუქრება.

სახელმწიფოს მდინარის შესაჩერებლად გეგმა არ აქვს.

ეკა ჭითანავა



■ ყვარლის რაიონის სოფელ საცხენეს მკვიდრი ვინეტონ დურუჯის წყალდიდობის შედეგად განადგურებულ ნაკვეთში, 8 მარტი 2010

ფოტო ვა. არამარკვა

როცა ოქტომბრის ერთ დღილას, წყალდიდობის შემდეგ სოფელ საცხენეს მკვიდრი ვინეტონ დაბლიშვილი გარეთ გავიდა, ვენახი აღარ დახვდა. ლვარცოფმა ოთხი ტონა ყურძენი ძირიანად წაიღო და 81 წლის კახელი გლეხი ულუქმაპუროდ დატოვა. „ძალიან ფინთი ხეობაა!“ – ჩივის დვალიშვილი და გამორღვეულ კლდეზე „ნავენახარის“ საჩენებლად მიცოცავს.

ძლიერი წვიმის დროს ლვარცოფს მოშავონ-ნაცრისფერი ქვა-ლორდი მოაქვს, დიდი სიჩქარით ნაპირებს ანგრევს და მოსავალს ანადგურებს.

„ასე ხდება სულ, ჯერ დავთესავ, მერე კი ვლოცულობ, რომ დაკრეფა-მდე გაძლის და წყალდიდობის დროს მდინარემ არ წაიღოს“, – ამბობს გლეხი, რომელიც, ასაკის მიუხედავად, მხნედ გამოიყურება და სულით ავად-მყოფ ძმასაც უვლის.

საცხენე საზღვრისპირა სოფელია და, სტიქიურად სამში მდებარეობის გამო, თანდათან იცლება. ამჟამად სოფელში სულ 15 ოჯახი ცხოვრობს. აქ არც მაღაზია და არც სკოლა. მიტოვებულ სახლებს შორის ტალახიანი ბილიკები მიკლაკნება და აქ იმვიათად თუ ვინმე გაივლის.

ლვარცოფები საცხენეში შემოდგომასა და გაზაფხულზე იცის. ძლიერი წვიმების დროს ადიდებული მდინარე სოფელს წალეკვით ემუქრება. შარშანდელი წყალდიდობის დროს მდინარემ ერთ მოსახლეს საცხოვრებელი სახლიც დაუნგრია.

ლვარცოფები საცხენეში შემოდგომასა და გაზაფხულზე იცის. ძლიერი წევიმების დროს ადიდებული მდინარე სოფელს წალეკვით ემუქრება. შარ-შანდელი წყალდიდობის დროს მდინარემ ერთ მოსახლეს საცხოვრებელი სახლიც დაუნგრია. მოსახლეობა წლევანდელ გაზაფხულსაც შიშით ელოდება.

„ვისაც წასასვლელი აქვს, ყველა მიღის“, – ამბობს 76 წლის ზაირა გოგობერიშვილი. თუმცა, თვითონ სახლ-კარი დასატოვებლად არ ემეტება.

წყალდიდობების მასშტაბების მიუხედავად, სტიქიური უბედურებისგან მოსახლეობის დაცვა ტექნიკურად არც ისე რთულია. გეოლოგების თქმით, ნაპირები უნდა გამაგრდეს და გაკეთდეს გაბიონი – მავთულის ბადეში ჩამოტკიცების ქვა, რომელიც წყლის წაკადს შეაკავებს და ნაპირს ჩამორცხვისაგან დაიცავს. ასეთ სამუშაოებს ადგილობრივი თვითმმართველობა საცხენეში პერიოდულად ატარებს, თუმცა თითქმის ყოველთვის – და-

პოტს მთლიანად შეავსებს და წყლის წაკადი ქალაქს დაფარავს.

გეოლოგი ემილ წერეთელი გარემოს დაცვის სამინისტროში მუშაობს. მან იცის, რომ მდგომარეობა ყვარელში „უკიდურესად საშიშია“, თუმცა, აცხადებს, რომ მისი უწყების პასუხისმგებლობას სცილდება პრობლემის უშუალო მოგვარებაზე ზრუნვა. ეს ქალაქის გამგებლის პრეროგაზიგვა.

ქალაქის გამგებელი კი მდინარის მიერ ჩამოტანილ უზარმაზარ ლოდს საფრთხის სიბმბლოდ არ აღიქვამს და აცხადებს, რომ კალაპოტიც იწმინდება, არც შეშფოთების საფუძველი არსებობს და ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილი თანხაც – 73 ათასი ლარი, ხეობის გასაწმენდად საკმარისია.

ლიცენზია მდინარის კალაპოტის გაწმენდაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 10 წლის წინ შეს „დურუჯა მინერალს“ გადასცა. თუმცა, კომპანიის საქმიანობას მონიტორინგს არავინ უწევს, სამინისტროს წარმომადგენელმა კობა გაბაქემ ზუს-

ციალური ღუმელი, რომელშიც ასეთ ბლოკს გამოწვავს. „ამ თანხის მოპოვება, 15 წელია, ვერაფრით შევძელი“, – აცხადებს საკანდელიძე.

ექსპერტების წანილი იდეას სკეპტიკურად უყურებს. მათი აზრით, თუკი ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდება, ადგილობრივი ბაზარი ამ რაოდენობის სამშენებლო მასალის ათვისებას მაინც ვერ შეძლებს. სამშენებლო ბლოკების ექსპორტზე გატანის შესაძლებლობა კი შორეული ჟრისებელი გვივავა.

თუმცა, ლია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივის (CENN-ის) კოორდინატორი რეზონ გეთაშვილი, დაფინანსების გზების მოძიების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებას აპირებს. „თუ ეს ბუნებრივი რესურსია, ბაზარიც გამოინახება. ამაზე ზრუნვა დღესვე უნდა დავიწყოთ, თორებ რამდენიმე წელიწადში შეიძლება ყვარელმა აღარციარებოს“, – აცხადებს გეთაშვილი.

გარემოს დამცველები ამბობენ, რომ

■ მეცნიერები შიშობენ, რომ ძლიერი ნალექიანობის დროს მდინარე დურუჯზე

ლვარცოფით ჩამოტანილი 200 მილიონამდე ტონა ქვა-ლორლი კალაპოტს მთლიანად შეავსებს და წყლის წაკადი ქალაქს დაფარავს.

გვიანებით და არასისტემატურად. თანმიმდევრული პრევენციული ზომების არარსებობის გამო კი, მოსახლეობა წყალდიდობას სათანადოდ მომზადებული ვერ ხვდება.

საცხენესთან ერთად, ყვარლის შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობას მთლიანად იცილებს თავიდან გარემოს დაცვის სამინისტრო, მაშინ როცა გაცილებით დიდი საფრთხე ემუქრება ყვარელს. მდინარე დურუჯის კალაპოტი დაგრცია თავიდან ჩამოტანილი შევიქვებითა დაფარული. დურუჯელები ჩამოსულებს წყალდიდობის მასშტაბების წარმოსადგენად იმ 200-ტონიან ლოდს უზვენებენ, რომელიც ლვარცოფუმა რამდენიმე წლის წინ გამორიყა.

დურუჯის კალაპოტი, უკვე 20 წელია, არ განმეოდილა. ყოველწლიურად მდინარეს 300 000 კუბური მეტრი თიხა-ფიქალების წაშალი ჩამოაქვს და კალაპოტიც თანდათან მაღლა იწევს. მეცნიერები შემობრივი რომ ძლიერი ნალექიანობის დროს მდინარე დურუჯზე ლვარცოფით ჩამოტანილი 200 მილიონამდე ტონა ქვა-ლორლი კალა-

ტად არც ის იცის, რა რაოდენობით და სიხშირით გააქვს კომპანიას ქვა-ლორლი.

„მთელი ქვეყნის კომპანიებიც რომ შეესიონ, ათასობით ტონა ქვა-ლორლს მაინც ვერ გაზიდავენ, თანაც ცარიელი ლორლი არავის სჭირდება“, – ამბობს გაბაქე. თუმცა, არსებობს მეცნიერული დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ერთი შეხედვით უსარგებლო ქვა შეიძლება ეკონომიკურად მომგებიან საშენ მასალად იქცეს. ტექნიკურ მეცნიერებათა პროფესორი ანზორ საკანდელიძე ამბობს, რომ თიხა-ფიქლის წაკადი მსუბუქი საშენი მასალის წარმოებისთვის საუკეთესო ნედლეულია, რომლის დამუშავებითაც მაღლი ხარისხის საშენ ბლოკებს მივიღებთ.

ჯერჯერობით ამ იდეის მხოლოდ ლაბორატორიული ანალიზი არსებობს. ვიდრე ბიზნესგეგმას კერძო ინვესტორს შესთავაზებენ, იგი ჯერ ექსპერიმენტულად უნდა დადასატურდეს. საკანდელიძე ამბობს, რომ ამისათვის სჭირდება 50 000 დოლარი და სპე-

ყვარლის პრობლემის გადაჭრას კომპლექსური მიდგომა სჭირდება. პირველ ეტაპზე ნაპირების გამაგრებაა საჭირო, შემდეგ კი გრძელვადიანი გეგმაც უნდა შემუშავდეს, რომლის მიხედვითაც, დურუჯის ხეობა დაგრვილი ქვა-ლორლისგან შეძლების-დაგვარად გაიწმინდება.

დურუჯმა ყვარელი პირველად 1832 წელს დაანგრია. ბოლო ყველაზე დიდი კატასტროფა 1949 წელს მოხდა, როცა ადიდებულმა მდინარემ 56 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მას შემდეგ ადგილობრივებს სტიქია ყოველწლიურად ახსენებს თავს.

ყვარლის მოსახლეობა ამბობს, რომ მთავრობის მხრიდან უმოქმედობას უკვე შეჩვეულები არიან. აქ მცხოვრები წიკანიშვილის სახლი დურუჯის წაშალითან დაგრცია თავის. „ბოლოს ადიდებულმა მდინარემ ბავშვი და მოხუცი ქალი დაახრჩი“, – იხსენებს მეზობლების მონაყოლს ბეჟანიშვილი და აღარც კი სჯერა, რომ ქვა-ლორლით დაფარული შევი წაპირი ოდესმე გასუფთავდება. **■**



caravan

ლოტერია გურიული ჭიკვები



სიახლე

13-დან 16 საათამდე
4 განსხვავებული
პიზენს ლარი მენუ
ფასი: 15,99 ლარი

საუკათასო აღმილი: გაფიციროვისთვის,
ლიტ-სალამოებისთვის, პორაორატიული
შეკრებისთვის.

სამზარეულო: აზიურ-ევროპული
აღგილების რაოდენობა: 90
მისამართი: ა. ჭურცელაძის №10
ტელ: 996691/874880378



საუბრობი ლიბერალიზმი

ლიბერალი ე ბონსისი

ხელისუფლების მოუმწიფებლობაზე მეტყველებს, რომ ის ვერ აცნობიერებს მოქალაქეთა ჯგუფების ინტერესთა არსებობას და მათ იგნორირებას ცდილობს. ამ ინტერესების ჩახშობა შეუძლებელია. მათთან მხოლოდ მოლაპარაკებაზე წასვლა და კონსენსუსის მიღწევაა შესაძლებელი.

გიორგი ცხადაია

ერთი პოპულარული განმარტების მიხედვით, პოლიტიკაში მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსების განაწილება, ეკონომიკაში კი – რესურსების დაგროვება. მეორე პოპულარული განმარტების მიხედვით, პოლიტიკა რესურსების გადანაწილების პროცესში კონსენსუსის მიღწევს გულისხმობას.

სხვადასხვა ინტერესებს შორის ბალანსის ნაკლებობა და კონსენსუსის არარსებობა თანამედროვე ქართული პოლიტიკის ფუნდამენტური პრობლემა. ეს პრობლემა ჩანს ზედაპირზეც და ქვედა შერებშიც.

„ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ჯიუტად იცავს შეუვალი პოლიტიკური ჯგუფის იმიჯს – თითქმის ყველა კრიტიკულ შემთხვევაში, ის თავს არიდებს ოპოზიციასთან მოლაპარაკებას.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნარმოქმნილი კრიზისის დროს ხელისუფლებამ წაყენებული 17 მოთხოვნიდან, ყოველგვარი პირობების გარეშე, მხოლოდ ერთი გაიზიარა (ცვლილებები საპარლამენტო რეგლამენტში, რომელიც საპარლამენტო თანამდებობების ახლე-

ბურად დაკომპლექტების საშუალებას იძლეოდა). იმ დროისთვის ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც ხელისუფლება მცირე დათმიბაზე წავიდა.

მსგავსი დათმობები გაგრძელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის შემოღებით. სულ ახლასნ, 22 თებერვალს კი, საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ხელშეწყობით, ხელი მოწერა საზოგადოებრივ მაუწყებელს, საქართველოს პარლამენტსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მემორანდუმში, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული პარტიები საზოგადოებრივი მაუწყებლის რესურსებით სარგებლობას შეძლებენ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო 2009 წლის 28 დეკემბერს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საარჩევნო სიების გადამოწმებასა და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხზე.

მოუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლების მხრიდან დათმობების რიცხვი უახლოესი ექვსი წლის განმავლობაში მცირე იყო და ძირითადად პრობლემური საკითხების ნაკლებად მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავდა. მაგალითად, ოპოზი-

ციის მოთხოვნა, რომ მაისის არჩევნებში, 30%-იანის ნაცვლად, 50%-იანი ბარიერი ყოფილიყო, დაუმაყოფილებელი დარჩა.

რესურსების სამართლიანად განაწილების კუთხით, ფორმალურად ხანდახან ყველაფერი მოწესრიგებულიც კი არის, მაგრამ სინამდვილეში უთანასწორობები აშკარაა.

ოპოზიციურ პარტიებს უჭირთ ფინანსური კაპიტალის მოძიება, სამოქალაქო საზოგადოების და მედიაორგანიზაციები ან ხელისუფლებების პიარ მანებებად არიან ქცეულნი, ანდა დამოუკიდებელი, თუმცა მნირი თანხებით არსებობენ. დაფინანსების მთავარი წყარო უცხოური დონორების გრანტები, რომლებიც, როგორც წესი, სამოქალაქო ორგანიზაციების და, განსაკუთრებული მედიის სრულფასოვანი მუშაობისთვის საკითხის არ არის ხოლმე.

ადგილობრივი ბიზნესის მესვეურები პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო ორგანიზაციების და მედიის დაფინანსების საკითხის ნამოქრისას, უმრავლეს შემთხვევაში, დუმან და პოლიტიკურ კონუნქტურას ემორჩილებიან. მიზეზი, რის გამოც ისინი არ აქტიურობენ, ის არის,

რომ ზოგიერთი მათგანი პოლიტიკური ისტაბლიშენტის (მთავრობის და „ნაციონალური მოძრაობის“) პირდაპირი გავლენის ქვეშა, სხვებს კი ეშინიათ, რომ ოპოზიციური საქმიანობით თავიანთ ბიზნესს ზიანს მიაყენებოდა. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ ისინა საკუთარი აზრის შემაღლა გამოიტანა ერიდებიან.

პოლიტიკურ კონიუნქტურაზე ბიზნესის დამოკიდებულების მიზეზი შესაბამის საკანონმდებლო ბაზაში ნაცელებად უნდა ვეძებოთ. პირიქით, ამ მხრივ საქართველო, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკურად ლიბერალური ქვეყანაც იყოს.

როგორც დასაწყისში ალვინიშვილი, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის განსაზღვრისას მთავარი მხასასათებლებია რესურსების განაწილების და კონსენსუსის მიღწევის პროცესზე დაკვირვება. ქართულ ბიზნესგარემოს და პოლიტიკას სწორედ ეს მთავარი ელემენტი აკლია.

გამართული საკანონმდებლო ბაზა არა-ფერს შეცვლის, თუ პოლიტიკოსებია, სა-

დემოკრატიული ქვეყნის სტანდარტებს შეესაბამება, ხოლო რეალური ვითარება ავტორიტარიზმს გულისხმობს. ხელისუფლებას არ აინტერესების სამართლიანად და ადეკვატურად ხორციელდება კანონი რეალურ ცხოვრებაში, თუ დემოკრატიულად ფირმულირებული კანონმდებლობით იმყოფების იმიჯს.

ალნიშვილი დამოკიდებულება ვრცელდება არა მხოლოდ ეკონომიკურ სფეროში სამართლიანი და თავისუფალი კონკურენციის და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპების დაცვაზე, არამედ მთელ რიგ სხვა სფეროებზე, სადაც ხელისუფლება იგნორირებას უწევს მოქალაქეთა ინტერესებს და მათზე უხეშად ზემოქმედებს. თუმცა მთლიანი პოლიტიკური პროცესის დამასხვებას ყველაზე მეტად ბიზნესის დამოუკიდებლობის და ხელშეუხებლობის უხეში დარღვევა უშლის ხელს.

ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური პარტიების, დამოუკიდებელი სამოქალა-

განხორციელების პრობლემებს; მაგალითად – საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, რომელზეც ორივე სახის ბარიერი არსებობს, ისევე როგორც არსებობს ბიზნესის თავისუფლების პრინციპი, მაგრამ რეალობისგან ესეც შორსაა. ამგვარი საკითხების მაქსიმალურად წინ ნამოწვევა იმისთვისა საჭიროა, რომ დისკუსია სწორედ მათ გამო გაიმართოს: სოციალური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებრივი უთანასწორობები იმდგარად გამოვლინდება, რომ საბოლოო ჯამში, შესაძლოა, უმრავლესობისთვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს, რომ საჭიროა პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტა და ინტერესთა ჯგუფებთან პირდაპირი მოლაპარაკება. ჯანსაღი დემოკრატიული პროცესის დამკვიდრების ნაცვლად, ხელისუფლება წარმატების მიღწევას უცხოური კანონმდებლობის „კოპირებით“, პრაქტიკაში ძნელად ასამოქმედებელი მექანიზმების დანერგვით და დიალოგზე თავის არიდებით ცდილობს.

მიტინგების და დაუმორჩილებლობის აქციების ბუნების გაანალიზება საუკეთესო საშუალება იმის უკეთ გასაგებად, თუ რა საფრთხე შეიძლება მოიტანოს ხელისუფლებისთვის ინტერესთა ჯგუფებთან, პოლიტიკურ და სამოქალაქო ორგანიზაციებთან ან მედიასთან დაზღვებზე უარის თქმამ. მიტინგი პოლიტიკური პროტესტის ერთ-ერთი რადიკალური ფორმაა, რომელიც სწორედ იმიტომ გახდა ქართულ პოლიტიკში აქტუალური, რომ ინტერესთა გამოხატვის ალტერნატიული საშუალებები არ არსებობს. ხელისუფლების მოუმზინებლობაზე მეტყველებს, რომ ის ვერ აცნობირებს მოქალაქეთა ჯგუფების ინტერესთა არსებობას საზოგადოებაში. ამ ინტერესების ჩახშობა შეუძლებელია. შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკებაზე წასვლა და კონსენსუსის მიღწევა. როდესაც ხელისუფლებასა და ხალხს შორის ჯანსაღი პოლიტიკური კომუნიკაცია არ არსებობს, და ამ კომუნიკაციის არხებს პარტიები, მედია და სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს, სიტუაცია ძალის ადგილობრივი სამსახურების განხორციელების შემთხვევაში უშეშ ჩარიცვად მიიჩნევენ.

ალნიშვილი სიტუაციიდან გამოსავალი

იმ ჯგუფების და მედიის მფლობელების მუდმივი კრიტიკა მათვის ფინანსური დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობების მოსპობას გულისხმობს. ნარსულში არსებობდა ხელისუფლების მიერ მისთვის არასასურველი ბიზნესების განადგურების ფაქტებიც – მაგალითად, ვალერი გელაშვილის და ქიბარ ხლვაშის ყველაზე ცნობილი შემთხვევები. შესაბამისად, შეიქმნა პრეცედენტი, რომელმაც ცუდად იმოქმედა ბიზნესის მიერ მედია და სამოქალაქო საქმიანობების ალექსა ისინი მსგავს საქმიანობას ხელისუფლების საქმიში უშეშ ჩარიცვად მიიჩნევენ.

ალნიშვილი სიტუაციიდან გამოსავალი იმ ვითარების გათვალისწინება გახდავთ, რაც ზემოთ აღნიშვნებთ: რეალურ ვითარებაზე და კონკრეტული დემოკრატიული პრინციპების პრაქტიკული განხორციელების პრობლემაზე ხელისუფლებასთან საუბარი – სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვა.

არსებობს უამრავი საკანონმდებლო შეზღუდვაც, რაც სამოქალაქო საზოგადოების და მედიის მუშაობას უშლის ხელს. ეს პრობლემები უკავშირდება როგორც საკანონმდებლო ბარიერებს, ასევე პრაქტიკაში ამ საკანონმდებლო ნორმების გაჯანსაღების გზა. ■

ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები

თბილისი სამარი



ამ თამაშს „თბილისელი სამურაი“ ჰქვია და მას, როგორც წესი, ისინი თამაშობენ, ვის ქალაქშიც ცელოფანის პარკები ხეებზე იზრდება.

კახა თოლორდავა


ერთი უხიფათო თამაში მოვიღონე. იმედი მაქვს ჩემი თანამოქალაქები მხარს ამიბარენ. ოცნება მაქვს, ყველა თბილისელთან ერთად ვითამაშო ის.

სრულყოფილი თამაშისათვის საჭიროა საშუალო ზომის ჯოხი, ქამარი და... ცელოფანის პარკ. მშ ასე, დათქმულ დღეს ქალაქში დარგვული ხებისმიერი ხიდან ჩვენ ხესნით ხებისმიერი ფერის და ზომის ცელოფანის პარკს. ამ პარკს ვაცვამთ ჯოხზე. ჯოხს ვირჭობთ ქამარში, ზურგსუკან, ისე, რომ ჯოხზე ნამოგბული ცელოფანის პარკი ნახევარი მეტრით მაინც იყოს ჩვენ თავს ზევით, შემდეგ ველოდებით დათქმულ დროს, და ყველა ერთდროულად (ეს აუცილებელი პირობაა!) გავდივართ ქალაქის ქუჩებში. დღის ბოლოს ყველა პარკი საჯაროდ ნადგურდება. თამაში გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ მიხვდება, თუ რატომ ვთამაშობთ ამ თა- მაშს.

ამ თამაშს „თბილისელი სამურაი“ ჰქვია და მას, როგორც წესი, ისინი თამაშობენ, ვის ქალაქშიც ცელოფანის პარკები ხეებზე იზრდება. ამ თამაშს ვერ ითამაშებ ლონდონში, პარიზში, მონტროში, ბერნში და კიდევ ბევრ სხვა დასავლურ ქალაქში. იქ ძირითადად ქალალდის პარკებს მოიხმარენ (როგორც წესი, ეს პარკები ისეთი მასალისგან მზადება, რომ გარემოში შემთხვევით მოხვედრისას გარემოს დაუზიანებლად ნადგურდება. მოკლედ, ჭეშმარიტ დასა- ვლურ მარაზმთან გვაქვს საქმე!).

იბადება კითხვა: რაა ამ თამაშის მიზანი? ვპასუხობ: ამ თამაშის ერთ-ერთი, გულახდილად რომ გითხრათ, საკმარის არასაინტერესო, „რაკრეატულური“ და მოსაწყენი მიზნია, უმუშევრად დავტოვოთ ის ადამინები, ვინც წვეტანი ჯოხებით ხელში დასეირნობენ ქალაქის პარკებსა თუ ქუჩებში და მიმოფანტულ ცელოფანის პა- რკებს აგრივებენ. ქალაქს არ ესაჭირობა ასეთი ადამიანები! (სი, ასეთი შემთხვევისთვის დამასასიათებელი შესაძლებელი შედეგი: ერთმანეთის ხვდება ორი კაცი წვეტანი ჯოხებით ხელში. – დღეს რამდენი შეაგრივე? – მხოლოდ ერთი. შე? – ვერც ერთი! – პოო, მე მგონი უმუშევრები ვრჩებით!). ეს რაც შეეხება თამაშის მოსაწყენ ვარიანტს. მართლაც, რაა საინტერესო ან გასართობი იმაში, რომ ვიღაც მეორე უმუშევრად დატოვო? თანაც, ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ჭეშმარიტი თბილისელი უმუშევას ვერ დატოვებს მეორე ჭეშმარიტ თბილისელს?

მეორე, უფრო სახლისო და, მე ვიტყოდ, სარფიანი ვარიანტი კი ასეთია: ამ შემთხვევაში, თამაშის სპონსორი, როგორც წესი, ქალაქის დიდ თუ პატარა სუპერ თუ არა-სუპერ მარკეტია. ისი- ნი უკეთავენ ცელოფანის პარკებს თავთავიანთი ლოგოებით და, გარდა იმისა, რომ ამ პარკებით ყიდიან საქონელს, აგრეთვე პე- რიოდულად ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტავენ ამ პა- რკებს. დათქმულ დღეს, როგორსაც ყველანი ქალაქს მოვედებით ცელოფანის პარკების ძიებაში (თუმცა ძებნა რად გინდა, სულ,



გულო, აირჩიე როგორი და რამდენიც გენებოს!), თითოეული ჩვენგანი ირჩევს პარკს ერთი რომელიმე მარკეტს ლოგოთი და სწორედ ასეთ პარკებს ექვს მთელი დღის განმავლობაში. დღის ბოლოს შეგროვებული პარკები იმ მარკეტში მიაქვს და შეგრო- ვებული რაოდენობის შესაბამის ფულად პრიზს იღებს მარკეტის ხელმძღვანელობისგან, პლუს ამავე პარკებში შეფუთული უფასო საქონელი (სუცილებელი პირობაა, რომ ეს პარკები ისევ ქალაქში მიმოიფანტოს შემდგომი ტურისთვის შენივე შანსების გასაზრდე- ლად). ასე ხდები დროის განმავლობაში „პოპულის“, „ბიგბენის“ თუ „გუდვილის“ რ ი ნ ი და სიცოცხლის ბოლომდე იბრძევი შენი რჩეული მარკეტის ბრძნების გასაძლიერებლად, რასაკვირველია – შესაბამისი ანაზღაურებით. მოკლედ, „თბილისური სამურაი“ კარგი საშუალებაა (ცხოვრების მოსაწყობად და გასართობადაც, თანაც უმუშევარს არავის ტოვებ – პირიქით, წანვეტილჯონიანი კაცების კადრების ზრდა თითქმის გარდაუცვლ ხდება.

კიდევ ერთხელ შეგხსენებთ: ამ თამაშს ვერ ითამაშებთ... ლონ- დონში, პარიზში, ბერლინშა თუ ფლორენციაში. სამწუხაროდ, იქ მხოლოდ ეკოლოგიურად უსაფრთხო ქალალდის პარკებით სარე- ბლობენ და, რაც კიდევ უფრო გულდასანუკეტია, იქაური მაცხო- ვრებლები არც ქალალდის და არც ცელოფანის პარკებს ქუჩებში არ ყრიან. არადა, რა კარგად შეეძლოთ დროის გატარება!



რადიო „ნაცენტი“ გეპატიზებათ კლუბი „ნაცენტი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა





WWW.LIBERALI.GE
